

‘ქოთა რესტავაციის სახელობის ბაიუქის სახელმწიფო უნივერსიტეტი’

# მურმან დავითაძე

## აჭარის აღმენტური ფლორა

გამომცემლობა „ბაიუქის უნივერსიტეტი“  
ბაიუქი — 2001

წიგნში განხილულია საქართველოში ადვენტური სახეობებით ყველაზე მდიდარი ბოტანიკურ-ისტორიული მხარის — აჭარის ადვენტურ ფლორის ჩამოყალიბების ისტორია, მისი სისტემატიკური სტრუქტურა, უცხო მცენარეთა სამხრეთ-კოლხეთში მიგრაციის გზები და საშუალებები. ამ უკანასკნელზე, ამასთანავე შემოჭრის დროსა და ნატურალისაციის დონეზე დაყრდნობით მოცემულია ადვენტურ მცენარეთა კლასიფიკაცია. გაანალიზებულია თითოეული სახეობის გეოგრაფიული წარმოშობა, მათე აჭარაში გავრცელება და აბორიგენულ მცენარეულობაში ინვასიის თავისებურებანი.

ამასთან ერთად ნაშრომი ფლორის კონსპექტიცაა, სადაც თითოეულ სახეობაზე მითითებულია სასიცოცხლო ფორმა, გავრცელების თავდაპირველი არეალი, აჭარაში გამოჩენის დრო და თანამედროვე განსახლება.

რედაქტორი – ბიოლ. მეც. დოქტორი, პროფესორი ოთარ შანიძე

რეცენზენტი – ბიოლ. მეც. დოქტორი, პროფესორი რევაზ გაგნიძე

ISBN 99928-48-40-5

გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

## შესავალი

ფლორისა და მცენარეულობის თანამედროვე განუწყვეტელი ტრანსფორმაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მცენარეთა მიგრაციასა და ინვასია-ნატურალისაციასთან. მეორადმა ანთროპოგენურმა სუქცესიამ, რომელიც ბუნებასე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შემოქმედებით წარმოიქმნა, არნახულად შეცვალა მსოფლიოს მცენარეული საფარი. ბუნებრივი ეკოსისტემების ადგილზე ქალაქებისა და სოფლების მშენებლობამ, ტრანსპორტისა და სხვა კომუნიკაციების განვითარებამ, სამრეწველო ნაგებობებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობთა ინტენსიურმა ზრდამ შეამცირა პირველადი ეკოსისტემები. ადამიანის მიერ ათვისებულ, ამომშრობილ, გაჩეხილ, გადახნულ და სხვა ამისთანა ადგილებზე ისეთი მცენარეული დაჯგუფებები ვითარდება, რომლებიც ადამიანის მისანმიმართულ თუ უნებლიე შემოქმედების ზეწოლას ეგუება. ამიტომაც აბორიგენული სახეობების ადგილს ადვენტური იჭერს და სინანტროპულ მცენარეთა ცენოზებით იცვლება ბუნებრივი. მსგავსმა ფლორისა და მცენარეულობის სინანტროპისაციამ მსოფლიო მოიცვა. ძნელდება და თითქმის შეუძლებელიცაა ამ პროცესის შეცვლა-შემობრუნება, ანდა სრული შეჩერება.

ბიოსფეროში ადამიანის უარყოფითმა ზემოქმედებამ დღეს უკვე იმ ზღვარს მიაღწია, რომ საშიშროების წინაშე დააყენა თავისივე საარსებო გარემოს შენარჩუნება. სასიცოცხლო გარემოს გაჭუჭყიანება გლობალურ ცვლილებებს იწვევს—კლებულობს ბიოცენოზთა პროდუქტიულობა, ქრება მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ირღვევა არსებული კავშირები და ეკოსისტემები, რომელთა ეკოლოგიური თანაფარდობისა და ამასთანავე ეროვნული

მეურნეობის განვითარებისათვის უმთავრესი პირობა ერთიანი, მდგრადი მცენარეულობის შენარჩუნებაა. ბუნებრივ ლანდშაფტებზე ანთროპოპოგენური ფაქტორების ექვივალენტი და გრანდიოზული ზემოქმედებით პირველ რიგში ფლორა ღარბდება. ფიტოცენოზები კი კრიტიკულ დონემდე ირღვევა, რაც მათი პროდუქტიულობის, სასიცოცხლო გარემოს შექმნის, დაცვისა და სხვა ფუნქციათა შემცირებას იწვევს. უპირველესად ის ეკოსისტემები იღუპება, რომლებიც ნაკლებად მდგრადია ადამიანის ზემოქმედების მიმართ. ასეთია კოლხეთისა და სხვა მისდამხარე რეფუგეუმების უძველესი რელიქტური მცენარეულობა.

ბუნებრივი მცენარეულობის კულტურულით შეცვლამ გარკვეულად დააკმაყოფილა ადამიანის სულიერი და მატერიალური მოთხოვნები. ასეთი ლანდშაფტი უარყოფითად არც ბიოსფეროს ნივთიერებათა ბალანსზე მოქმედებს წარმოიქმნება ორგანული ნივთიერებანი და რეგულირდება ატმოსფეროს შემადგენლობა. ამის მიუხედავად, კონტროლი ბუნებრივ და კულტურულ მცენარეულობათა თანაფარდობასე აცვილებლია, რადგან იგი დაკავშირებულია პირველადი, აბორიგენული მცენარეულობის ადგილზე, მეორადი მცენარეულობის განვითარებასთან, ენდემური და რელიქტური ფლორის უცხოური – ადვენტური სახეობებით შეცვლასთან. აქედან გამომდინარე ადვენტური ფლორის ყოველმხრივი შესწავლა დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობასთან ერთად, სოციალიზაციური ინტერესსაც წარმოადგენს.

უძველესი დროიდან მჭიდროდ დასახლებული კოლხეთის სამხრეთი ნაწილი – აჭარა, რომელიც ადამიანის ინტენსიური ზემოქმედების რეგიონს წარმოადგენდა, მისი ფლორა უსხოვარი დროიდან უცხო წარმოშობის სახეობებით მდიდრდებოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში კი იგი კავკასიაში ადვენტურ მცენა-

რეთა 'შემოჭრა-გავრცელების ძირითად კერად იქცა [Гроссгейм, 1936]. აღვენტური სახეობების ფართო გავრცელებამ 'სიუცნობადი გახდა აღგილობრივი ბუნებრივი მცენარეულობა, ბევრიც ავროცენოზებში 'შეიჭრა და აბესარ სარეველად იქცა.

აღვენტურ სახეობათა ასეთმა ექსპანსიამ კავკასიის და საქართველოს ფლორის მკვლევართა ყურადღება მიიქცია, რომელთა გამოკვლევები [Алешнов, 1893, 1895; Воронов, 1904, 1916; Гроссгейм, 1915, 1929, 1939; Макашвили, 1936, 1950; Дмитриева, 1967] ძირითადად ასალი აღვენტური სახეობების გამოიენასა და გავრცელებას მიეძღვნა.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მკვეთრად გამოიხატება აღვენტურ მცენარეთა კოლონიზაციის გაძლიერება და მათ მიერ მეორადი ცენოზების წარმოქმნა, რის კვალობასეც ინვასიენტთა აბორიგენულ მცენარეულობაში 'შეაწევა-დამკვიდრება უფრო და უფრო აქტიური ხდება. ამასთანავე გრძელდება უცხო მცენარეთა 'შემოჭრა და ეგზოტიკური სახეობების გავრცელება. ამდენად, აღვენტთა 'შემგომი 'შესწავლა ნათელ წარმოადგენას 'შეგვიქმნის ასალ გარემოში მათ თანდათანობით ინვასიასე, წარმოაჩენს ანთროპოგენური ფაქტორების 'სემოქმედებით ფლორისა და მცენარეულობის თანამედროვე ტრანსფორმაციის თავისებურებებს.

აჭარის აღვენტური ფლორის 'შესასწავლად საველე დაკვირვებები მიმდინარეობდა 'სღვისპირა დაბლობებსა და მთისწინეთში [გორაყ-ბორცვეზსე]. იმავდროულად გამოკვლევები ტარდებოდა 'მიდამთიანი აჭარის მთის 'სუა სარტყელში და სუბალპებში გავრცელებულ აღვენტურ სახეობებზე.

ამასთან, აღვენტური სახეობების მეორად მცენარეულ ფორმაციებში როლისა და აღგილის 'შესწავლისათვის საცდელ ნაკვე-

თებზე ტარდებოდა გეობოტანიკური აღწერები.

შედარებითი ანალიზისათვის გამოყენებული იყო ჩვენს მიერ სახალინსე და კურილიის არქიპელაგის სამხრეთ კუნძულებზე [შიოტანსე, კუნაშირსე, იტურუპსე და სხვ.] შეგროვილი მასალები, აგრეთვე ჰერბარიუმი, დაცული სხვადასხვა ბოტანიკურ ცენტრებში [LE, TBI, BAK, SUCH, BAT].

## აჭარის ადგილობრივი ფლორის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

მცენარეული სახეობა - ადვენტი დღეს განსაზღვრულ როლს ასრულებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ფლორაში. ბოტანიკურ ლიტერატურაში “ფლორის ადვენტური ელემენტი” ერთნაირი პირობით არაა გაგებული. ნეგელი, თელდუნგი [Naegel, Thellung, 1905], ე. ვულფი [Вульф, 1932] მას ისეთ სახეობებს აკუთვნებენ, რომლებიც დამუშავებულ ნიადაგზე აღმოცენდება და მალე გაქრება. ა. გროსჰეიმ [Гроссгейм, 1936] და სუკოპი [Sukopp, 1972] ადვენტურ სახეობად თვლიან სხვა კონტინენტებიდან და ფლორისტული ოლქებიდან შემოჭრილ ყველა მცენარეს, მათი ნატურალისაციის დონის გაუთვალისწინებლად. ე. დოროგოსტაისკაია [Дорогостайская, 1972] კი ადვენტებს ე. წ. „შემთხვევითი“, რუდერალური სარეველების ჯგუფში აერთიანებს. ჩენი [Давишадзе, 1980] თვალსაზრისით, აბორიგენული ფლორის ადვენტურ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის უცხო სახეობა, რომლის შემოჭრა, ანდა აბორიგენულ მცენარეულობაში განსახლება-დამკვიდრება ადამიანის არამისანდასახული საქმიანობითაა განპირობებული. ადვენტთა ამდგვარი გაგებით, აფსახეთის [Яброва-Колаковская, 1977] და მოსკოვის ოლქის [Игнатёв, Чичев, 1989] ადვენტურ ფლორებში ყველა ინვაზიენტი გაერთიანებული.

მე-20 საუკუნის დასასრულს ფლორის ევოლუციის ბუნებრივი პროცესის მთავარ ძალად, წარმოშობით შედარებით ახალგაზრდა, მნიშვნელობით კი ყველაზე ძლიერი ანთროპოგენური ფაქტორი იქცა. ადრე თუ ადამიანის შემოქმედება ბუნებრივ მცენარეულობაზე გამანადგურებელ ხასიათს ატარებდა, დღეს

უკვე მან, როგორც ჯერ კიდევ ადრე აღნიშნავდა ე. ველფი [Byz. 1944], 'შემოქმედებითი სახითი' შეიძინა, აღამიანი თავისი მისხანმიმპაროული საქმიანობით ცვლის ბუნებრივი მცენარეულობის სახეობრივ 'შემადგენლობას და ხელაოვნურად ფართოვდება რა სახეობის არეალი, ირღვევა ფლორისტული ოლქების ბუნებრივი სასღვრებიც. 'შორეულ წარსულში ასეთი პროცესი თანდათანობით და 'შედარებით ნელა მიმდინარეობდა. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყნებს 'შორის საკომუნიკაციო საშუალებების ინტენსიური და სწრაფი განვითარებით, განსაკუთრებით სასღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვით, მცენარის ბევრი გადაულახავი ბუნებრივი, ე.წ. ტოპოგრაფიული დაბრკოლებანი ადვილი დასაძლევი გახდა. ყოველივე ამან კი ხელი 'შეუწყო როგორც სარგავი მასალის, ისე თესლის მასიურ გაცვლასა და გადატან-გადმოტანას.

კოლხეთში და მის სამხრეთ ნაწილში – აჭარაში, ადვენტურ მცენარეთა გამოჩენა კულტურულ მცენარეთა 'შემოტანასთანაა დაკავშირებული. კავკასიასა და მასთან ერთად საქართველოშიც სამხრეთულ (სუბტროპიკულ) მცენარეთა ინტროდუქციასა და კულტურაში დანერგვას უძველესი დროიდან მისდევდნენ [ჯავახიშვილი, 1934; Гинкул, 1936; კეცხოველი, 1957]. უძველეს წარსულთან ასოცირდება აგრეთვე ჩვენთან პირველი ადვენტების – *Oplismenus undulatifolius*, *Eleusine indica*, *Arthraxon hispidus*, *Cyperus difformis*, *Acorus calamus*\* –ის და სხვათა გამოჩენა, რომელიც ბრინჯის კულტურის გავრცელებას უკავშირდება. ამჟამად ეს სახეობები ტყის, ჭაობის და სხვა ბუნებრივ ფიტოცე-

---

\* მცენარეთა სახელწოდებანი, ავტორის მითითებით, იხილეთ თავში – აჭარის ადვენტური ფლორის კონსპექტი



ნოსებშია განსახლებული. ისინი იმდენად დამკვიდრდნენ ადგილობრივ მკვებარეულობაში, რომ 'სოფჯერ ძნელდება მათი აბორიგენებისაგან განსხვავება. ასე რომ აღვენტოა უძველესი სახეობებიდან 'სოგი ამა თუ იმ კულტურის თანამგზავრია, 'სოგიერთის ჩვენთან 'შემოჭრა და განსახლება კი მიწათმოქმედების, მეურნეობრიობის სხვა სახეების განვითარებას უკავშირდება. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ბევრი ამერიკული მკვებარე 'შემოტანილი იქნა ევროპაში და ისინი მრავალ ქვეყანაშია ნატურადისებული. სწორედ აქედანაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში ამერიკული წარმოშობის ბევრი კულტურული და სარეველა მკვებარე. მაგრამ იმდროინდელ კოლხეთში 'შემოტრილი აღვენტისათვის 'მეუფერებელი ეკოლოგიური პირობები იყო. სამხრეთ კოლხეთის ტყეები XIX საუკუნის ბოლომდე თითქმის ხელმოქეხებელი რსებოდა. ..ბათუმის ან ქობულეთის მახლობლად თუ მტხავრი ორ ნაბიჯს გადაადგამს ბილიციდან, ბნელ, სმირ ტყეში მოხვდება, საიდანაც ისე ვერ გამოვა. თუ ხელში ცული ან კავკასიური ფართო ხანჯალი არ 'უჭირავს' წერდა ალბოვი [Альнов, 1896]. 'უფრო აღრე არტურ ლაისტი [1885] აღნიშნავდა: "ბათუმიდან იწეება მთები და სმირი ტყეები, მთებს 'შეა ვრცელი ჭაობებია. მოფენილი მკვებარეებით". ლიტერატურული წარობისა [Ruprecht, 1869; Масальский, 1886; Альнов, 1893, 1895, 1896; Sommier et Levier, 1900] და საპერბარიუმო მასალების მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოს აჭარის ფლორაში აღვენტური სახეობების არც ისე დიდი [134] რაოდენობაა. მათი რიცხვის 'სრდა განსაყუარებით კოლხეთში, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებამ განაპირობა [Давишадзе, 1980].

მეოცე საუკუნის დასაწყისში, სამხრეთი კოლხეთის სუბტროპიკული რაიონებისადმი ინტერესი მკვეთრად იზრდება. ამას-

თანავე. გზებისა და მიმოსვლის სხვა საშუალებათა გაფართოებამ, ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობების ზრდამ და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესებამ გასაქანი მისცა ამ რეგიონში, კერძოდ კი აჭარაში უცხო მცენარეთა შემოჭრას. ამავ პერიოდში საფუძველი ეყრება ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, იქმნება მცენარეთა საცდელი სადგურები, დეკორატიულ და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა სანერგეები. ყოველივე ეს კი აჭარის ადვენტურ ფლორის გამდიდრების საფუძველი გახდა. ოციან წლებში აჭარის ფლორა 168 ადვენტურ სახეობას ითვლიდა. ჩვენს ფლორაში უცხო მცენარეთა მასიური შემოჭრა ე.წ. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობას უკავშირდება, ამით უკვე ნათლად ჩანს, რომ სახეობის გავრცელება-ინვაზიასე ადამიანის ზეგავლენა მხოლოდ მცენარეთა თავდაპირველი განსახლების ადგილიდან დიასპორის გადატანით არ იფარგლება. ამ ფაქტორის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის არის, რომ ადამიანის სამეურნეო საქმიანობით ირღვევა პირველადი მცენარეული საფარი, სადაც ადვილად აღწევს შემოჭრილი, ანდა გაველურებული უცხო სახეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ შეიქმნებოდა [დავითაძე, 1981]. ადვენტური სახეობებისათვის აბორიგენულ მცენარეულ საფარში შეჭრა-დამკვიდრებისათვის საუკეთესო პირობები მაშინ შეიქმნა, როდესაც კოლხეთის ტყის და მისთვის დამახასიათებელი ჭაობების ათვისება დაიწყო. ეს ის პერიოდი, როცა კოლხეთის უძველესი ტყეების ადგილს თანდათანობით სუბტროპიკული კულტურების – ჩაის, ციტრუსების, ტუნგისა და ბამბუკის პლანტაციები იკავებდა. თავის დროზე ახალგაზრდა ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსოვანთა ბაღების სარეველა მცენარეთა სახეობრივმა მრავალგვარობამ ბოტანიკოსთა

[Гроссгейм, Макашвили, 1929; Макашвили, 1936; Гроссгейм, 1939] ყურადღება მიიპყრო. მათ ნაშრომებში ბევრი ახალი ადვენტურული სახეობაა მითითებული, კერძოდ: *Anthoxanthum odoratum*, *Digitaria violascens*, *Houttuynia cordata*, *Microstegium imberbe*, *Polygonum perfoliatum*, *P. thunbergii* და სხვა. მათი შემოჭრა უმეტესწილად ჩაის კულტურის გამენებასთანაა დაკავშირებული. ბევრი სხვა სახეობაც ჩაის თესვას თუ სარგავ მასალას შემოჰყვა. თანმხლები მიგრაცია არა მარტო სუბტროპიკული კულტურული მცენარეებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ სხვა ინვასიენტებისთვისაც [კეცხოველი, 1973].

XX საუკუნის 30-იან წლებში უცხო მცენარეთა შემოჭრა და აბორიგენულ მცენარეულობაში მათი თანდათანობითი გავრცელება-დამკვიდრება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ზოგიერთმა ინვასიენტმა ბუნებრივ მცენარეულ ცენოზებში შეაღწია. ზოგიერთ ადგილებში კი ედიფიკატორიც გახდა.


40-იან წლებში ადვენტურ ელემენტთა რიცხვი აჭარის ფლორაში უკვე საკმაოდ დიდია [281 სახეობა]. ამ დროიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი მათი სახეობრივი შემადგენლობის დასუსტების, გავრცელებისა და ზოგიერთი ბიოლოგიურ თავისებურების შესასწავლად [Татишвили, 1951; Морозова, 1957; Дмитриева, 1967; მეშიაძე, 1971; Попов, 1980; დავითაძე, 1974-1997].

აჭარის ჩაის პლანტაციებში ახალი სარეველას *Crassocephalum crepidioides*-ის გამოჩენისა და მისი ქობულეთისა და ოსურგეთის რაიონების ჩაის პლანტაციებში სწრაფი გავრცელების თავისებურებებია მოცემული ტატიშვილის [Татишвили, 1951] ნაშრომში.

აღმოსავლეთასიურ ინტროდუქციულ მცენარეთა თვითნათე-

სეზზე და მათ შიერ შექმნილ დამოუკიდებელ ცენოტიკურ დაჯგუფებებზე მოუთითებს მორიხოვა [Морозова, 1957].

აჭარის ფლორის გამოსენილ მკვლევარს ა. დმიტრიევას ეურადლება მრავალგზის მოუქცევიო უცხო მკენარეთო ინვასიასე [Дмитриева, 1971], ამასთანავე იგი სახეობის სისტემატიკურ დასუესტებასთან ერთად, აჭარის ფლორისათვის 5 ახალ სახეობას მოუთითებს.



ნახაზი 1. აჭარის აღვენტიკური ფლორის სახეობრივი შექმადგენლობის 'სრდა XX საეკუნის ეოველ დასწლადში

‘სღვისპირა აჭარის დიდი მდინარის კონტრიმის, მცენარეულობით მდიდარი ხეობის ფლორის თავისებურებად ვ. მემიძე [1971], ადვენტურ სახეობათა სიმრავლეს თვლის [65], რომელიც მოელი ხეობის 6,7 % შეადგენს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მუქსაობის მცირე დროის მიუხედავად. გამოჩენილ ბოტანიკოსს მ. პოპოვს [Попов, 1980] შეუმჩნეველი არ დარჩენია, სამხრეთ კოლხეთის მცენარეულობისათვის დამახასიათებელი ადვენტურ სახეობათა სიმრავლე და აბორიგენულ ცენოზებში მათი სწრაფი ინვასია. მის ნაშრომში აჭარისათვის მრავალი ატლანტური ევროპის და აღმოსავლეთასიური [*Holcus lanatus*, *Sieglingia decumbens*, *Agrostis vulgaris*, *Anthoxanthum odoratum*, *Hydrocotyle vulgaris*] სახეობაა მითითებული.

კვლევის პერიოდში ჩვენს მიერ [1974, 1975, 1989, 1995, 1997] აჭარის ფლორისათვის ახალი ორმოცამდე ადვენტური სახეობაა აღნიშნული: *Psilotum nudum*, *Tradescantia fluminensis*, *T. virginiana*, *Ophiopogon japonicum*, *Boehmeria nivea*, *Akebia quinata*, *Spireae japonica*, *Lespedeza cuneata*, *L. Bicolor*, *Gomphocarpus fruticosus*, *Solanum pseudocapsicum*, *Helianthus tuberosus*, *Bidens bipinnata*, *Galinsoga parviflora*, *Onoclea sensibilis*, *Amarpha fruticosa*, *Galega officinalis*, *Abutilon officinalis*, *Euphorbia lathiris*, *Hydrocotyle maritima*, *Lepidium sativum*, *Baccharis halimifolia*, *Inula britannica*, *Heracium discolor*, *Cannabis sativa*, *C. indica*, *Poligonum orientalis*, *P. cuspidatum*, *P. posumbu*, *Samolus valerandi*, *Spiranthes sinensis*, *Panicum lanuginosum*, *Amaranthus amarum*, *Sporobolus fertilis*, *Pleiblastus pumilis*, *P. humilis* და სხვა. მათ შორის ოცამდე სახეობა კავკასიისა და საქართველოს ფლორისათვის პირველადია მითითებული.

XX საუკუნეში აჭარის ფლორაში აღვენტურ სახეობათა რიცხვის ზრდა ყოველ ათწელში ასეთ სურათს იძლევა [ნახ.1].

დიაგრამიდან ჩანს, რომ პირველ ორ ათწლეულში აღვენტურ სახეობათა რიცხვი მხოლოდ 34-ით არის გაზრდილი, შემდგომ ორ ათწლეულში კი – 113-ით. აღვენტური ფლორის ასეთი, გამდიდრება მსოფლიოს სუბტროპიკული ქვეყნებიდან კულტურულ მცენარეთა შემოტანა-დანერგვამ განაპირობა. ბოლო ხუთ ათწლეულში, ე.ი. ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, თითოეულ ათწლეულში აღვენტთა რაოდენობა მხოლოდ 30-38 სახეობით იზრდება, რაც საკარანტინო ინსპექციის ფართო ქსელის შექმნამ განაპირობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ათწლეულებში სემოთ მითითებულ სახეობათა დიდი ნაწილი გაველურებული ინტროდუცენტებია. ინვაზიენტების მიერ დამოუკიდებელი ცენოტიკური დაჯგუფებების შექმნამ აღვენტური ელემენტისადმი მკვლევართა დაინტერესება უფრო გააძლიერა.

აჭარის მცენარეულობაში აღვენტურ სახეობათა შემოჭრა და გავრცელება შეიძლება დაიყოს ოთხ პერიოდად: პირველი უცხო მცენარეთა შემოჭრა უხსოვარი დროიდან [არქეოფიტები]; სამხრეთულ სუბტროპიკულ კულტურათა: ბრინჯის, ფეტვის და სხვათა თანამგზავრნი. მეორე - მცენარეთა ამერიკის კონტინენტიდან შემოჭრა, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებით და დედაამიწის ირგვლივ მოგზაურობით იყო განპირობებული [ენოფიტები]; ისინი ევროპაში კარტოფილის, სიმინდის, პომიდორის და სხვა კულტურათა გავრცელებასთანა დაკავშირებული. მესამე - უცხო მცენარეთა შემოჭრის ყველაზე ძლიერი ტალღა, დაკავშირებული აღმოსავლეთაზიურ სუბტროპიკულ მცენარეთა შემოტანა-დანერგვასთან [ნეოფიტები]; მეოთხე მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ინტროდუცენტთა გაველურება და

გსადმოყოლილთა ახალი 'შემოჭრა [ვენეოფიციები].

ამრიგად, ფლორის ახალი სახეობებით გამდიდრება არა მარტო ხანგრძლივი, ფორმათა წარმოქმნის ავტოქტონური, არამედ არც თუ ისე ხანმოკლე პერიოდში მცენარეთა მიგრაციის ალოქტონური გზით მიმდინარეობს. სისტემატიკური თვალსაზრისით ყოველი ფლორა რაოდენობრივად და თვისობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდება. ადვენტური ფლორის ჩამოყალიბებაში ცალკეული სისტემატიკური ჯგუფების როლი და მნიშვნელობა განსხვავებულია.

პირველი ადვენტური სახეობის აჭარაში გამოჩენა, რომელიც 'მორეულ წარსულში მოხდა, როგორც 'ხემოთაც აღვნიშნეთ სუბტროპიკულ კულტურულ მცენარეთა ინტროდუქციას უკავშირდება. ადვენტური ფლორის 9 სახეობა უძველესი დროიდანაა 'შემოჭრილი და არქეოფიტთა ჯგუფს მიეკუთვნება.

აჭარის ადვენტური ფლორის ფორმირებაში გამოიყოფა 4 პერიოდი: პირველი – უძველესი, მე-15-მე-16 საუკუნეებამდე 'შემოჭრილი [9 სახეობა]; მეორე – ძველი, მე-16-მე-19 საუკუნეებში 'შემოჭრილი [125 სახეობა]; მესამე – ახალი, მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე 'შემოჭრილი [187 სახეობა]; მეოთხე – უახლესი, მე-20 საუკუნის 50-დან 90-იან წლებში 'შემოჭრილი [118 სახეობა].

უცხო სახეობის ყველაზე დიდი რაოდენობით 'შემოჭრა, სამხრეთ კოლხეთის პირველადი [ტყისა და ჭაობის] მცენარეულობის ადგილზე აგროცენოზების შექმნა-განვითარებას უკავშირდება.

ყოველი ქვეყნის თანამედროვე ფლორის ახალი სახეობებით გამდიდრება მიმდინარეობს არა მარტო ხანგრძლივი ფორმათა წარმოქმნის ავტოქტონური, არამედ მცენარეთა მიგრაციის ალოქტონური გზითაც.

# აჭარის ადვენტური ფლორის სისტემატიკური სტრუქტურა

ადგილის ფლორის, ან მის ცალკეულ ელემენტთა და ამასთანავე ფორმაციათა სახეობრივი 'შემაღგენლობა სხვადასხვა ტაქსონომიურ ერთეულებს განეკუთვნება. მათ 'შორის რაოდენობრივი თანაფარდობა, სხვა თავისებურებასთან ერთად, ფლორის სისტემატიკური სტრუქტურის მთავარი გამომხატველია.

აჭარის ფლორისათვის 350 ადვენტური სახეობაა მითითებული [Дмитриева, 1990]. 'სემით აღინიშნა, რომ ბოტანიკურ ლიტერატურაში „ადვენტური ელემენტი“ ერთიანი ასრით არაა გაგებული [Naegeli, Thellung, 1905; Вульф, 1932; Гроссгейм, 1936; Sukopp, 1972; Яброва-Колаковская, 1977; Игнатов, Чичёв, 1989]. ფლორის ადვენტური ელემენტი ისეთი უცხო სახეობაა, რომლის მიგრაცია-'შემოჭრა და აბორიგენულ მცენარეულობაში ინვაზიადამკვიდრება ადამიანის არამისანმიმართული საქმიანობითაა განპირობებული [Давиатадзе, 1980]. ჩვენი მონაცემებით ამჟამად აჭარის ფლორაში 439 სახეობა ადვენტურ ელემენტადაა მიჩნეული. მათი რაოდენობა ჩვენი ფლორის 23,1 % 'შეადგენს. მათგან 96 ეფემეროფიტი ადვენტია, რომელთა აბორიგენულ ფლორაში მონაწილეობა არასტაბილურია. მიუხედავად ამისა, ისინი სისტემატიკურ 'შემაღგენლობაში მაინც გავითვალისწინეთ [დავითაძე, 1998], რადგანაც არც ისე იშვიათია, გამქრალი ეფემეროფიტი – ადვენტის ხელმეორედ გამოჩენის 'შემთხვევები [Дмитриева, 1960, 1990].

ადვენტური ფლორის მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში განაწილების სპექტრი [ცხრ. 1] გვიჩვენებს, რომ მისი ყველა სახეობა მოქცეულია 4 განყოფილებაში და ორ კლასში. მათგან



სპოროვანი მცენარეები მხოლოდ 2 ოჯახით [Psilotaceae, Polypodiaceae], 6 გვართა და ამდენივე სახეობითაა წარმოდგენილი. შიშველთესლოვანების ორი სახეობა ორ გვარსა და ორ ოჯახში ნაწილდება. ფარულთესლოვანების 421 სახეობა 59 ოჯახსა და 252 გვარს ეკუთვნის, რომელთაგან ორლებნიანების 329 სახეობა 191 გვარსა და 46 ოჯახშია განაწილებული. ერთლებნიანების 102 სახეობა 13 ოჯახსა და 61 გვარშია მოქცეული.

განყოფილება, კლასი	ოჯახი	გვარი	სახეობა
Psilotophyta	1	1	1
Pteridiophyta	1	5	5
Pinophyta (Gymnospermae)	2	2	2
Magnoliopsida (Angiospermae)	59	252	431
Magnoliopsida (Dicofiledone)	46	191	329
Liliopsida (Monocotiledone)	13	61	102

ცხრილი 1. აჭარის ადვენტური ფლორის სახეობათა მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში განაწილება

აჭარის ადვენტური ფლორა, ტაქსონომიური თვალსაზრისით, რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ აქ 14 სუბტროპიკული ადვენტური ოჯახია გავრცელებული, რომელთაგან ორი უმაღლეს სპოროვან მცენარეებს ეკუთვნის (ცხრ.1). მაშინ, როცა ევრაზიის ჩრდილოეთიდან სამხრეთ კოლხეთამდე არც ერთი ქვეყნისა თუ რეგიონის, მათ შორის

ლიტვის (Наткевичайте, 1951, Лякавичюс, Гуджинская, Мотекайтите, 1989), მოსკოვის ოლქის [Игнатов, Чичёв, 1989], უდმურტეთის [Пузырёв, 1986], უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის [Кондратюк, Тарабрин, Бурда, 1989], ყირიმის [Кожевникова, Рубцов, 1971; Голубев, Голубева, 1989] ადვენტურ ფლორებში სპოროვანი მცენარეების არც ერთი სახეობა არაა მითითებული. ჯერჯერობით უმაღლეს მცენარეთა სპოროვანი წარმომადგენელი არაა შენიშნული არც ჩრდილოეთი კოლხეთის [აფხაზეთი] [Яброва-Колаковская, 1977] და არც ცენტრალური კოლხეთის [Мазуренко, Хохряков, 1972; ქიქოძე, 1991] ადვენტურ ფლორებში. ამრიგად, აჭარა დღესაც რჩება კავკასიაში შემოჭრილი უძველესი ფლორის „ელტოლვილ“ სახეობათა – *Psilotum nudum*, *Onoclea sensibilis*, *Dryopteris atrata*, *Cyrtomium falcatum*, *Adiantum cuneatum*, *Pteris vittata* რეფუგიუმად. მის ფლორაში გვხვდება ისეთი სამხრეთული [სუბტროპიკული] წარმომადგენლის ოჯახები, როგორცაა: *Psilotaceae*, *Taxodiaceae*, *Lauraceae*, *Lardisabalaceae*, *Hydrangiaceae*, *Simaroubaceae*, *Bignoniaceae*, *Resedaceae*, *Cannabinaceae*, *Saururaceae*, *Commelinaceae*. აგრეთვე ამერიკული წარმომადგენლის თითქმის კოსმოპოლიტური არეალის ოჯახები: *Phytolaccaceae*, *Chenopodiaceae*, *Amaranthaceae*.

ორლებნიან და ერთლებნიან მცენარეთა სახეობების რიცხოვრივი თანაფარდობა [ცხრ.1] გვიჩვენებს, რომ ადვენტურ ფლორაში ერთლებნიანთა ხვედრითი წილი მცირეა – 102 სახეობა. ფლორის ჩამოყალიბებაში მთავარ როლს ორლებნიანები ასრულებს – 329 სახეობა. მსგავსი თანაფარდობაა კონტინენტალური კლიმატის პირობებშიც. ნიჟნი ნოვგოროდის ფლორაში გავრცელებულია ორლებნიანი – 96, ერთლებნიანი კი 26 სახეობა [Лукина, 1989]. მათ შორის ასეთი თანაფარდობა ნაწილობრივ,

პირველის კონსერვატიული და მქოფილური ბუნებით უნდა აიხსნას. ადამიანის სამეურნეო საქმიანობით სახეცვლილი და გარდაქმნილი სამხრეთი კოლხეთის ბუნებრივი გარემო, გაქსეროფილებულია და ბევრი მასში 'შემოჭრილი და ამასთანავე აბორიგენი ერთსებნიანის რეაქციის ნორმა მეორად გარემოში დაბალი აღმოჩნდა.

ოჯახი				გვარი				სახეობა		
სულ აჭარაში	აბორიგენული და ადვანტური სახეობებით	მათ შორის მხოლოდ ადვანტური	% ოჯახთა საერთო რიცხვიდან	სულ აჭარაში	აბორიგენული და ადვანტური სახეობებით	მათ შორის მხოლოდ ადვანტური	% გვართა საერთო რიცხვიდან	სულ აჭარაში	ადვანტური	% სახეობათა საერთო რიცხვიდან
138	64	14	10,1	725	261	163	22,4	1900	439	23,1

ცხრილი 2. აჭარის ადვენტური ფლორის სახეობათა ტაქსონომიურ ერთეულებში განაწილება

ადვენტური ფლორის სისტემატიკური სპექტრი [ცხრ.2] გვიჩვენებს, რომ ადვენტური სახეობები განაწილებულია 64 ოჯახში, რომელთაგან 14 ადვენტურია და მათი რიცხვი აჭარის ფლორის ყველა დანარჩენ ოჯახთან 'შეფარდებით 10,1 პროცენტს 'შეადგენს. მაღალი რანგის ტაქსონომიურ ერთეულთა ადვენტურობა სამხრეთი კოლხეთის ფლორის სპეციფიკური თავისებურებაა. ზომიერი სარტყელის სხვა ქვეყნების ადვენტურ ფლორებში ეს მოვლენა იშვიათია. საინტერესოა აგრეთვე ადვენტურ გვართა რაოდენობაც, რაც აქ მოშველიებული ცხრილიდანაც ჩანს. ყველა ადვენტური სახეობა 261 გვარშია გაერთიანებული, რომელთაგან 161 [22,4%] ადვენტურია ['შეიცავს მხოლოდ ადვენტურ სახეობებს]. ისინი

განსხვავლებიან სახეობათა რაოდენობით. 'სოგიერთები ისეთები, როგორცაა: *Amaranthus*-ი და *Chenopodium*-ი 'შესაბამისად 9 და 6 სახეობას 'მეიცავს, ხოლო *Hydrocotyle*, *Erigeron*-ი, *Hordeum*-ი, *Setaria*—*ოთხ-ოთხს*, *Lespedeza*, *Artemisia*, *Paspalum*-ი, *Digitaria*, *Avena*, *Pleiblastus*-ი — სამ-სამი, *Kyllinga*, *Tradescantia*, *Commelina*, *Microstegium*-ი, *Oplismenus*-ი, *Panicum*-ი, *Eleusine*—*ორ-ორი* სახეობითაა წარმოდგენილი, ფლორის სხვა გვარები კი—ათითა სახეობით.

ადვენტური ფლორის სახეობათა უმეტესი ნაწილი [341] ანუ 81,5%, 17 ოჯახის 203 გვარშია გაერთიანებული (ცხრ. 2). სხვა ოჯახები კი ორი და სამი სახეობითაა წარმოდგენილი, რომლებშიც ვხვდებით უძველესი ფლორის ისეთ ოჯახებს, როგორცაა: *Psilotaceae*, *Lauraceae*, *Rosaceae*, *Saxifragaceae*, *Fagaceae*, *Caprifoliaceae*, *Hypericaceae*, *Phytolaccaceae*, *Cannabinaceae*, *Jridaceae*, *Orchidaceae*, *Araceae*. მათი სახეობები მხოლოდ ჩვენს რეგიონშია შემოჭრილი, ანდა გაველურებული და სხვა ადვენტურ ფლორებში არ 'მენიშნულა [Голубев, Голубева, 1989; Мамедов, 1989]. ეს სახეობები როგორც აფხაზეთის [Яброва-Колаковская, 1977], ისე ცენტრალური კოლხეთის [Мазуренко, Хохряков, 1972; ქიქოძე, 1991] ფლორებშიც არ გვხვდება, რაც ერთხელ კიდევ აჭარის ადვენტური ფლორის სახეობრივი 'შემაღგენლობის თვითმყოფალობასე მიანიშნებს.

მცენარეთა მიგრაციის გზით XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან დღემდე აჭარის ფლორა 16,1 პროცენტითაა გაზდიარებული. ორმოციან წლებში ადვენტებზე მხოლოდ 7% მოდიოდა [Гроссгейм, 1936]. ადვენტურ სახეობათა მაღალი პროცენტი ბევრი ფლორისათვისაა დამახასიათებელი: 'შუა ევროპაში — 16%, იაპონიაში — 14%, ახალ 'ხელანდიაში — 25%, კუნძულ გრანკანარიასე — 40%, ასორის კუნძულებზე — 60%.

[Jäger, 1977]. რუსეთის სლვისპირეთის მხარის ადვენტური ფლო

ოჯახი	გვარი	სახეობა	% ადვენტურ სახეობათა საერთო რიცხვიდან
Poaceae	41	74	17,2
Asteraceae	43	66	15,3
Fabaceae	19	38	8,8
Brassicaceae	22	31	7,2
Apiaceae	13	18	4,1
Lamiaceae	10	13	3,0
Polygonaceae	3	13	3,0
Euphorbiaceae	5	12	2,7
Solanaceae	4	12	2,7
Caryophyllaceae	8	11	2,5
Cyperaceae	5	10	2,3
Scrophulariaceae	8	9	2,0
Papaveraceae	3	6	1,3
Borraginaceae	5	6	1,3
Geraniaceae	1	6	1,3
Polypodiaceae	5	5	1,1
Primulaceae	3	4	0,9
Commelinaceae	2	4	0,9
Liliaceae	3	3	0,6

ცხრილი 3. აჭარის ადვენტური ფლორის ძირითად ოჯახთა სახეობრივი შემადგენლობა

რა 20%-ს [Харкевич, 1989] შეადგენს, ხოლო ხაბაროვსკის მხარის ფლორაში 29% ადვენტური სახეობაა [Шлотцаев, 1989].

აჭარის ადვენტურ ფლორაში დიდი ხვედრითი წილი პირველ ხუთ ოჯახსე მოდის [ცხ.3], რომლებიც 227 სახეობით არის წარმოდგენილი და ადვენტური ფლორის 51,7% შეადგენს. მათ-

გან თითქმის კოსმოპოლიტური ოჯახები: Poaceae [74], Asteraceae [66] ყველაზე მრავალრიცხოვანია. Fabaceae [38], Brassicaceae კი [31] სახეობითაა წარმოდგენილი. ასეთი თანაფარდობა, დამახასიათებელია ბორეალური ოლქებისათვის [Толмачев, 1974], იგი ზომიერი სარტყელის ქვეყნების ადვენტური ფლორის საერთო ნიშანიცაა. ლიტვის ადვენტურ ფლორაში ყველაზე მდიდარი ოჯახებია Asteraceae [33], Brassicaceae [28], Poaceae [18] [Ляковичус, Гужинскас, Мотекантите, 1989]. ნიჟნი ნოვგოროდის ოლქში კი ყველაზე მდიდარია: Poaceae, Asteraceae, Brassicaceae რომლებიც შესაბამისად 21, 18, 16 სახეობითაა წარმოდგენილი [Лукина, 1989]. აღნიშნული ოჯახები, ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, აჭარაში ბევრად მრავალრიცხოვანია, რაც ჩვენი მხარის ბოტანიკურ-გეოგრაფიული კანონსომიერებებით უნდა აიხსნას. [Дмитриева, 1990]. მაშასადამე, ადვენტური სახეობებით ყველაზე მეტად ის ოჯახებია გამდიდრებული, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლობით აბორიგენებში ყველაზე მრავალრიცხოვანია. ეს კანონსომიერება იმავე მიგვანიშნებს, რომ ფლორის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის დროს ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ფორმათა წარმოქმნის ხანგრძლივი, ბუნებრივი მოვლენის მიკროეოლოგიური პროცესები. მიგრაციის გით შემოჭრილ იმ მცენარეთა ორგანიზმების დიასპორა განსახლება და მკვიდრდება აბორიგენულ ფლორაში, რომელთა რაოდენობა პირველად ბუნებრივ მცენარეულობაში სჭარბობს. გადარჩენისა და გავრცელების შესანიშნავს სასიცოცხლო გარემოში უფრო დიდია.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მომძლავრებული ანთროპოგენური ფაქტორების შედეგად მცენარეთა განსახლების შემსლუღავი ბევრი ბუნებრივი გადაჟღაზხავი დაბრკოლება მოიხსნა. მიუხედავად ამისა, აბორიგენული ფლორის ადვენტური სახეობით

გამდიდრება ადგილის ბუნებრივ კომპლექსთან მყარ კონტროლით მიმდინარეობს.

ამრიგად, აჭარის ადვენტური ფლორა 439 სახეობას [აბორიგენული ფლორის 23,1%] შეადგენს. მათგან 96 სახეობა ეფემეროფიტების ჯგუფს მიეკუთვნება.

სომიერი სარტყელის ქვეყნების ადვენტური ფლორისაგან განსხვავებით, აჭარის ადვენტური ფლორა უმაღლეს სპიროვან მცენარეთა 6 სახეობას შეიცავს. ადვენტურ სახეობათა უმეტესი ნაწილი ფარულთესლოვანია, რომელთაგან ყველაზე მეტი ორლებნიანია.

ყველა ადვენტური სახეობა 64 ოჯახში და 261 გვარშია გაერთიანებული. მათგან 14 ოჯახი და 161 გვარი მხოლოდ ადვენტურ სახეობებს შეიცავს. მაღალი რანგის ტაქსონომიურ ერთეულთა ადვენტურობა სამხრეთ კოლხეთის ადვენტური ფლორის სპეციფიკური თავისებურებაა.

ადვენტური ფლორის სახეობათა უმეტესი ნაწილი 34 სახეობა ანუ 81,5%, 17 ოჯახის 203 გვარშია გაერთიანებული. აქ გვხვდება უძველესი ფლორის ისეთი ოჯახები, რომელთა სახეობები მხოლოდ ჩვენს რეგიონშია შემოჭრილი, ანდა გავეაღრუბლები და სხვა ახლომდებარე ფლორისტული რაიონების ფლორაშიც კი არ შენიშნულა.

მეოცე საუკუნეში აჭარის ფლორა მთლიანად 16%-ითაა გამდიდრებული. რაშიც დიდი ხვედრითი წილი 5 ოჯახზე: Poaceae, Asteraceae, Fabaceae, Brassicaceae, Apiaceae მოდის. ეს მთელი ადვენტური ფლორის 51,7%-ს შეადგენს.

ადვენტური სახეობებით აბორიგენული ფლორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახებია გამდიდრებული, რაც იმასე მიუთითებს, რომ ღიასპორის გადარჩენისა და შემდგომი გავრცელების შესანიშნავი სასიცოცხლო პირობებში.

## აღწინააღმდეგობის მცენარეთა სამხრეთ კოლხეთში მიგრაციის გზები და საშუალებები

ანთროპოგენურმა ფაქტორებმა ნაწილობრივ შეამცირა მცენარეთა გავრცელების ბუნებრივი გადაულახავი დაბრკოლებები და უკანასკნელი 2-3 საუკუნის განმავლობაში დედამიწაზე მრავალი სახეობის დისპერსიური არეალი გაჩნდა [Бульф, 1944; Алехин, 1950; Толмачёв, 1974; Jäger, 1977, 1988; Walter, 2000; გაგნიძე, 1996], მცენარეთა შორეულმა მიგრაციამ მრავალი ქვეყნის აბორიგენული ფლორა გაამდიდრა. უცხო მცენარეთა განსახლება-ინვაზიის პროცესებმა ფართო ხასიათი მიიღო და ფორმათა წარმოქმნის ბუნებრივ მოვლენებსაც შეუქცო ხელი [Агаев, 1989]. ადგილობრივ მცენარეულობაში უცხო სახეობათა შემოჭრა-დამკვიდრება მიკროეკოლოგიურ პროცესთა ხელშემწყობ ფაქტორად იქცა [Скворцов, Майтулина, 1989]. ყოველივე ამით კი ნათელი გახდა სახეობათა წარმოქმნის ხანგრძლივ პროცესში გეოგრაფიული დიფერენციაციის სპეციფიკური ხასიათი.

მცენარეთა განსახლებაში იგულისხმება სახეობის გავრცელების დინამიკური პროცესი, იგივე გავრცელების გეოგრაფიული არის გაფართოება. მცენარეთა გავრცელება-ინვაზიის პროცესი სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეტაპს მოიცავს. პირველი – სახეობის დიასპორის გადატანა ახალ გარემოში; მეორე – ახალ პირობებში ზრდა-განვითარების სრული ციკლით ცხოველმყოფელობა; მესამე – ადგილობრივ ცენოზებში კომპონენტად დამკვიდრება. ადრე, პირველი ეტაპისათვის, დიასპორის ახალ პირობებში გადატანის უსრუნველსაყოფად საკმარისი იყო ის მრავალფეროვანი სამარჯვე-მოწყობილობანი, რომლებიც სახეობას გამოუმუქმავდა ბუნებაში თანდათანობით



ფორმირების დროს. 'შემდგომ'ში ნოოსფეროს ჩამოყალიბების პროცესში, ისრდება რა ანთროპოგენურ ფაქტორთა როლი და სულ უფრო აქტიურდება ბუნებრივ მოვლენებში ადამიანის ნებით თუ უნებლიეთ ჩართვა, სახეობათა გავრცელება-განსახლება-საც თავისებური ფორმა ეძლევა. მცენარეთა გავრცელების ისეთი საშუალებები, როგორიცაა კულტურულ მცენარეთა სათესლე, სარგავ-შესაფუთ, საფურაჟე და საამშენებლო მასალებთან და ა.შ. თანხლებით. ფართო ხასიათს ღებულობს. გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში იცვლება აგრეთვე მცენარეთა განსახლება-გავრცელების ბუნებრივი 'შესაჯავა-დაბრკოლებები' [წინააღმდეგობები]. მცენარეთა განსახლების გზებისა და საშუალებების ცვლას კი თან ხდევს 'შესაბამის საარსებო გარემოში დიასპორის მოხვედრის 'შესაძლებლობები. საჭყის ეტაჟზე ახალ ეკოლოგიურ გარემოში ინვასიენტთა სრული ცხოველმყოფელობისათვის ინდივიდთა რიცხობრივი 'სრდა და პოჟულაციათა წარმოქმნა მიმდინარეობს. მაშასადამე, განსახლების პროცესში ანთროპოგენური ფაქტორების როლი დიასპორის გადატანით არ შემოიფარგლება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი მცენარეულობის რღვევასა და მის აღგილზე ახალ საარსებო გარემოს ჩამოყალიბებას. 'შეცვლილი აღგილსამყოფელი კი უმეტესწილად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინვასიენტთა დამკვიდრებისათვის. აღვენტური მცენარეები ახალ გარემოში მიგრაციის ხერხებისა და საშუალებების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ერთნი გზადმოყოლილი - აგრესტოფიტებია, მეორენი გაველურებული ერგასიოფიტოფიტები. აჭარის აღვენტური ფლორის 439 სახეობიდან 319 გზადმოყოლილია, 120 კი გაველურებული.

აღვენტურ მცენარეთა 'შემოჭრა, როგორც გზადმოყოლი-

ლის. ისე გაველურებულისა, ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, გადმოყოლილი ადამიანის მიერ უნებლიეთ შემოიტანება. ისინი ადგილობრივ მცენარეულობაში მოხვედრის გზებისა და საშუალებების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან. უცხო მცენარეთა მიგრაციის სერხებისა და გზების შესწავლა მიმდინარეობდა როგორც ადრე, ისე უკანასკნელ წლებში [Touchy, 1857; Thellung, 1912, 1915; Макашвили, 1936; Голицын, 1945, 1947; Veber, 1961; Sukopp, 1972; Jäger, 1988; Игнатов, 1989].

კოლხეთში გადმოყოლილი მცენარეები სასლვავო და სახმელეთო ტრანსპორტის, კულტურულ მცენარეთა სათესლე და სარგავი მასალის და ბუნებრივ აგენტთა [წყლის დინების, ქარის, ცხოველების, განსაკუთრებით ფრინველების] მექანიზმით შემოიტანენ.

წყლის დინებები და სასლვავო ტრანსპორტი რომ მცენარეთა დიასპორის გავრცელებაში დიდი როლს ასრულებს, ამასე ბევრი მკვლევარი [Шавров, 1910; Thellung, 1915; Воронов, 1916; Гроссгейм, 1939; Weber, 1961; Гумеч, 1989] მიუთითებს.

სამხრეთ საფრანგეთში მონპელიეს ახლოს მდებარე პორტუიკენალში, ორი წლის განმავლობაში [1913-1915 წლებში], ახალი 500 სახეობის მცენარე იქნა შეგროვილი. ამ ადგილებს ბოტანიკოსთა „ეფლორადაოც“ უწოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი უმეტესობა გაქრა.

*Paspalum dilatatum* — ამერიკის ტროპიკებისათვის დამახასიათებელი სახეობა, სასლვავო ტრანსპორტის საშუალებებით, დასავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლორისათვის ჩვეულებრივ სახეობად იქცა [Thellung, 1915]. ამავე საშუალებებით ინდოეთიდან კოლხეთში შემოიტანა — *Duchesnea indica* [Шавров, 1910]. სასლვავარგარეთის გემებს შემოპყვა ფოთის მიდამოებში აგრეთვე

ხმელთაშუაზღვისპირეთის *Scolymus hispanicus*-ის თესლი [Воронов, 1916].

კავკასიაში უცხო მცენარეთა შემოჭრის ძირითად პუნქტად სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასია ითვლებოდა [Гроссгейм, 1936; მაკაშვილი, 1936]. ეს იმით იყო განპირობებული, რომ სამხრეთი კოლხეთის შავი ზღვის სანაპირო, სუბტროპიკულ კულტურათა დანერგვის უძველეს რეგიონად ითვლება, ბათუმი კი ღია კარეზად – პორტად, მრავალ ქვეყანასთან დამკავშირებელ ძირითად პუნქტად. გასული საუკუნის 70-იან წლებში იგი გადაიქცა უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის ცენტრად ამიერკავკასიაში, საიდანაც ისიდებოდა სხვადასხვა საქონელი, რომელთა შორის ხე-ტყე და ხილი სჭარბობდა [სიჭინავა, 1956]. ევროპისა და აზიის ქვეყნებთან სასაღვაწო ტრანსპორტით ასეთმა ურთიერთკავშირებმა ბათუმის მიდამოები იმ დროისათვის კავკასიაში ახალშემოჭრილ ადვენტურ სახეობათა მთავარ კერად აქცია.

XX საუკუნიდან რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებამ, ამ გზით შემოჭრილი და რკინიგზის გასწვრივ მსარდლი მცენარეები მრავალი ბოტანიკოსის კვლევის ობიექტად, აქცია [Lehman, 1895; Назаров, 1927; Голицин, 1947; Снарксис, 1962; Hejny. Jehlik, 1972; Бочкин, 1989]. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში რკინიგზას არც დიდი ხნის ისტორია [1883წ.] და არც დიდი მასშტაბები აქვს, ამ გზით მაინც შემოიჭრა ჩვენში ბევრი ადვენტური სახეობა, (მათ შორის *Perilla nankinensis*, *Gomphocarpus fruticosus*), რომლებიც ადრე მესობელ ფლორისტულ რაიონებში იყო გავრცელებული. [Давитадзе, 1974]. ბევრი ადვენტური სახეობა, რომელიც მე-17 საუკუნეში გამოიხდა ევროპაში და გავრცელდა უკრაინაში, აგრეთვე რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არეალის გაფართოების შედეგად შემოიჭრა ყირიმსა და აფხაზეთში

[Колаковский. Сахокия, 1946; Кожевникова, Рубцов, 1971], საიდანაც *Erigeron canadensis*, *Ambrosia artemisiifolia*, *Galinsoga ciliata* ტრანსპორტის საშუალებით, რკინიგზის გასწვრივ შემოიჭრნენ და განსახლდნენ აჭარაში. ევროპაში დიდი ხანია ნატურალისებული *Galinsoga parviflora* პირველად ჩაქვის მიდამოებში, რკინიგზის გასწვრივ იქნა შეგროვილი [Давитадзе, 1974]. სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებით ბევრი სამხრეთ-კოლხეთური ადვენტი ბოლო წლებში გავრცელდა აფხაზეთშიც. [Яброва-Колаковская, 1977].

რუსულ და სხვა სასლვარგარეთულ ლიტერატურაში, სათესლე და სარგავი მასალებით უცხო მცენარეთა დიასპორის გადატანის მრავალი ფაქტია აღნიშნული. უცხო სარეველათა დიდი ნაწილის თესლი ინტროდუცირებულ სხვადასხვა კულტურულ მცენარეთა თესლს შემოჰყვა. სარეველა მცენარეების თესლთა შემოყოლის შემთხვევები XX საუკუნის ოციანი წლებიდან დღითიდღე იზრდებოდა, ბოტანიკური ბაღების გასაცვლელ თესლთა სიასთან ერთად. კულტურულ მცენარეთა თესლს შემოყოლილი უცხო სახეობათა თესლი უმეტეს შემთხვევაში ხელსაყრელ პირობებში ხვდება და ეძლევა ახალი განსახლების ადგილებში ნატურალისაცხის დიდი მანძი. გვარი ძალსუკრძენას [სარეველა მცენარეების] ორი სახეობა—*Solanum rostratum* და *S. hemerodoxum*—ჩრდილოეთი ამერიკიდან უკრაინისა და რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთ რეგიონში შემოჰყვა *Andropogon sorghum*-ის თესლს [Ларионов, 1928]. ამიერკავკასიის შავმდინარეთიდან ბაქოს ბოტანიკურ ბაღში *Paspalum dilatatum*-ის თესლი ბამბუკის სხვადასხვა სახეობის სარგავ მასალას შემოჰყვა [Гроссгейм, 1939]. დასავლეთი საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში კი ჩაის თესლს შემოჰყვა *Microstegium japonicum*-ის,

*M. imberbe*-ის, *Commelina communis*-ის, *C. bengalensis*-ის თესლო [Макашвили, 1936].

ადვენტურ მცენარეთა უდიდესი ნაწილი რომ კოლხეთში სათესლე და დასარგავ მასალას შემოპყვა, ამასე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ აქაურ ფლორაში ადვენტურ ელემენტთა რიცხვის განსაკუთრებული ზრდა, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გასამეხებლად სარგავ და სათესლე მასალათა აქტიურ შემოსილვას უკავშირდება. სოგიერთი სახეობა პირველად იმ სანერგეებშია შენიშნული, სადაც ჩაის თესლიდან სარგავი მასალა გამოპყავდათ [Макашвили, 1936]. ადვენტურ მცენარეთა ნაწილი ჩაის კულტურის თანამგზავრია და მათი გავრცელება მხოლოდ ამ კულტურის პლანტაციებით შემოიფარგლება. რაც იმავე მიუთითებს, რომ ისინი სათესლე და სარგავ მასალას შემოპყვა. ასევე ბევრი უცხო ქვეყნის მცენარის თესლი ბოტანიკური ბაღებსა და სხვა საკოლექციო ნაკვეთებში ინტროდუცირებულ მცენარეთა თესლს შემოპყვა. ამასე კვლევის დროს ჩვენს მიერ სანერგეებში პირველად შეგროვილი *Panicum lanuginosum*-ი, *Lespedeza cuneata*, *Bidens bipinnata*, *Rhagadiolus stelatus*-იც მიუთითებს [Давитадзе, 1974, 1975, 1980].

უცხო მცენარეთა აბორიგენულ მცენარეულობაში მოხვედრის ერთადერთ გზად კულტურულ მცენარეთა გაველურება ითვლება. გაველურებული სახეობა მეორად მცენარეულობაში ვრცელდება, შედის ინდიგენურ ცენოზებში. სოგჯერ კი კულტურულ მცენარეთა სარეველადაც იქცევა [Давитадзе, 1989].

აღამიანის მისანმიმართული მოქმედების შედეგად, კულტურულ და ეგსოტურ მცენარეთა გაველურებით ფლორების გამდიდრება მრავალ მკვლევარს აქვს შესწავლილი. მაგალითად კოლხეთში გავრცელებული ადვენტური სახეობები *Perilla*

nankinensis-ი, *Gomphocarpus fruticosus*-ი გავეღურებულია. პირველი შემოტანილია, დეკორატიული, მეორე კი სამეურნეო მისნით მათი თესლებიდან ბალიშებს ამსადებდნენ [Шавров, 1910]. ი. ვორონოვი [Воронов, 1916] მიუთითებდა რომ, სოხუმის მიდამოებში ვეღურად იხრდებოდა *Miscanthus sinensis*, *Clerodendron foetidum* ბათუმისა და ტრაპიზონის მიდამოებში კი—*Ulex europaeus*. აფხაზეთის ფლორის ბევრი ადვენტური სახეობა, მათ შორის *Poligonum multiflorum*-ი, *P. Orientale*, *P. cuspidatum*-ი, *Solidago arguta*, *Aster novaeangliae*, რომლებიც 'ხღვისპირეთის სახეცვლილ მცენარეულ საფარშია განსახლებული, ადრე სოხუმის ბოტანიკური ბღის ეგზოტებად ითვლებოდნენ [Колаковский, Сахокия, 1946]. სამხრეთამერიკული *Physalis peruviana* ადრე აფხაზეთში მოჰყავდათ, როგორც საყვები მცენარე, დღეს კი იგი რუღერული მცენარეული დაჯგუფებების ჩვეულებრივი კომპონენტია. ჩრდილოეთი ამერიკის მარცვლოვანი – *Andropogon virginicus*-ი ადრე სოჭის სასოფლო-სამეურნეო საცდელ ნაკვეთზე იცდებოდა როგორც საყვები მცენარე [Колаковский, Сахокия, 1946], ამჟამად ეს სახეობა ბღ-პარკებისა და სათიბ-საძოვრების აბეხარი სარეველაა [Гогисванидзе, 1972]. აფხაზეთის დღევანდელ ფლორაში 102 სახეობაა გავეღურებული [Яброва-Колаковская, 1977]. ყირიმის 133 ადვენტური სახეობიდან 63 ადრე კულტურაში იყო და შემდგომ გავეღურდა [Кожевникова, Рубцов, 1971]. ა.სკვორცოვის [Скворцов, 1982] მონაცემებით, მოსკოვის ოლქის ფლორა გამდიდრდა გავეღურებული სახეობებით: *Polygonum sachalinensis*, *P. cuspidatum*, *Fraxinus pensylvanica*, *Helianthus strumosus*-ით. ამჟამად მოსკოვის ოლქში გავრცელებული 560 ადვენტური სახეობიდან 112 გავეღურებულია [Игнатов, Чичёв, 1989].

აჭარაში კულტურულ მცენარეთა გავეღურება მრავალ

მკვლევართა [Краснов, 1913; Воронов, 1916; Гроссгейм, Макаш-  
вили, 1936] ნაშრომშია მოცემული. ზოგიერთ ეგზოტთა გავლუ-  
რებაზე მითითებული აქვს აგრეთვე ს. გინკულს [Гинкул, 1936]; გ.  
მოროზოვას [Морозова, 1957], ა. მატინიანს [Матиниян, 1961]; დ.  
მანჯავიძეს და ა. მატინიანს [Манджавидзе, Матиниян, 1961]; ა.  
დმიტრიევას [Дмитриева, 1967]. აღნიშნული ლიტერატურის ქრო-  
ნოლოგიური თანმიმდევრობით გაცნობა ინტროდუცირებულ მცე-  
ნარეთა თანდათანობით გავლურების პროცესის და 'ხღვისპირა  
აჭარის სახეცვლილ მცენარეულ ლანდშაფტებში მათი როლისა  
და მნიშვნელობის ნათელ სურათს იძლევა.

XX საუკუნის ბოლო ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში,  
ჩვენს ფლორაში ადვენტური სახეობის რიცხოვრივი მატება ბოტა-  
ნიკური ბალებიდან და სხვა საკოლექციო ნაკვეთებიდან გავლუ-  
რებულ მცენარეებზე მოდის. ა. დმიტრიევას [Дмитриева, 1967]  
ნაშრომში აღნიშნული ხუთი ახალი ადვენტური სახეობიდან ოთხი  
გავლურებულია. ჩვენს მიერ აჭარის ფლორისათვის მითითებული  
ორმოცი ახალი ადვენტური სახეობიდან 18 გავლურებულია  
[Давитадзе, 1980].

ამრიგად, XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში, კულ-  
ტურულ და ინტროდუცირებულ ეგზოტურ მცენარეთა გავლუ-  
რება და მათი აბორიგენულ მცენარეულობაში შეღწევა-დამყვიდ-  
რება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ზოგიერთ ინტროდუცენტს  
სწრაფი ინვასიის შესაძლებლობები აღმოაჩნდა ახალ პირობებში  
კერძოდ, კოლხეთის დაბლობებში და ძალზე სწრაფად გაიფართოვა  
თავისი არეალი [კეცხოველი, 1973].

სამხრეთ კოლხეთში ინტროდუცენტთა სწრაფი გავლურების  
შესახებ ჯერ კიდევ ა. კრასნოვი [Краснов, 1913] მიუთითებდა.  
ინტროდუცენტები ისე სწრაფად იკავებენ ახალ-ახალ ადგილებს

რომ უმოკლეს დროში შეცვალებს ადგილობრივი მცენარეულობის სახე. დღეს უკვე ბევრი გავრეიდებული სახეობა დამკვიდრდა დაბლობებსა და ფერდობებზე, 'სოგიერთმა ხეობებშიც კი 'შეაღწიეს. 'შეავიწროვებს აბორიგენები და დამოუკიდებელი ცენოტიპური დაჯგუფებები 'შექმნეს. თანამედროვე 'სღვისპირა აჭარის 'შეცვლილი—მეორადი მცენარეულობა ძირითადად წარმოდგენილია: *Anthoxanthum odoratum*, *Paspalum dilatatum*, *P.paspaloides*, *Miscanthus sinensis*, *Pueraria hirsuta*, *Spiraea japonica*, *Clerodendron foetidum*, *Tradescantia fluminensis*, *Pleiblastus distichus*, *P.humilus*, *Hydrangea macrophylla*, *Deutzia scarba*, *Querus myrsinaefolia*, *Lepedeza bicolor*, *Trachycarpus fortunei*-ების ასოციაციებით. ეს ყველა ინტროდუცენტი ჩვენთან შემოტანილია როგორც საკვები, დეკორატიული, ტყის, ანდა ეროსიის საწინააღმდეგო კულტურა.

უცხო მცენარეთა შემოჭრა დროდადრო ბუნებრივი აგენტებითაც ხორციელდება. ასეთი საშუალებებით მათი გავრცელება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ნაყოფთა და თესვთა გავრცელებაში სხვადასხვა ბუნებრივ აგენტთა როლის ანალიზმა აჩვენა, რომ ამ გზით მცენარეთა განსახლება ჩვეულებრივ მოკლე მანძილზე მიმდინარეობს [Левина, 1997].

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, აფხაზეთის ადვენტური ფლორის გამდიდრება ძირითადად სამხრეთი კოლხეთიდან—აჭარიდან 'შეჭრილ მცენარეთა ხარჯზე ხდებოდა [Яброва-Колаковская, 1977]. აჭარაში ადვენტური მცენარეების დროდადრო შემოჭრა და გავრცელება ბუნებრივ აგენტთა საშუალებითაც ხორციელდება. ამ დროს წმირად მცენარის დიასპორა ერთეულ ეგზემპლარებად შემოიტანება თანაც მისთვის არახელსაყრელ ეკოლოგიურ პირობებში, ამიტომაც ფლორებში ამ გზით მოხვედრილი სახეობები ნაკლებია. ბუნებრივ აგენტთა



როლი კონტინენტის მასშტაბით სახეობის არეალის გაფართოებაში გამოიხატება. ქარის საშუალებით ცენტრალური კოლხეთიდან შემოიჭრა აჭარაში *Perilla nankinensis*-ი, *Crassocephalum crepidioides*-ი. მცირე დროში *Spirea japonica* ფრინველთა მეშვეობით, ზღვისპირა აჭარის მდინარეთა ხეობებში გავრცელდა. აჭარის მთისწინეთის ბუნებრივ მცენარეულობაში ფრინველების ხელშეწყობით შეაღწია აგრეთვე *Trachicarpus fortunei*-მ.

ამრიგად, მცენარეთა თანამედროვე გავრცელება-განსახლება სხვადასხვა გზებითა და სამარჯვებით მიმდინარეობს. ამ პროცესში დიდ როლს სახეობის ბიოლოგიური თავისებურებანი ასრულებს. ნაყოფისა და თესლის სპეციალიზებული სამარჯვემოწყობილობანი უსრუნველყოფს მათ მიერ სხვადასხვა სახის ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვას. მცენარეთა დიასპორის გავრცელებაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ადამიანის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება. იზრდება მისი ბუნებრივ მცენარეულობასე ზეწოლაც, რის კვალობასე ხდება პირველადი ცენოზების რღვევა და იქმნება უცხო მცენარეთა სრული ცხოველქმედებისა და ნატურალიზაციის ხელსაყრელი პირობები.

მომხლავრებულმა ანთროპოგენურმა ფაქტორებმა ნაწილობრივ შეამცირეს მცენარეთა გავრცელების ბუნებრივი გადაულახავი დაბრკოლებები და უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში დედამიწაზე ბევრი სახეობის დისუნქციური არეალი წარმოიქმნა.

მცენარეთა გავრცელება-ინვაზიის პროცესი სამ დამოუკიდებელ, თანმიმდევრულ ეტაპს მოიცავს: 1. სახეობის დიასპორის გადატანის; 2. ახალ გარემოში ზრდა-განვითარების სრული ციკლით ცხოველმყოფელობის; 3. ადგილობრივ ცენოზებში—როგორც კომპონენტის—დამკვიდრების.

უცხო [ადვენტურ] სახეობები მიგრაციის გზებისა და სა-  
'შუალებების მიხედვით განსხვავებულია, ერთნი გსადმოყოლი-  
ლი—აგრესტოფიტებია, მეორენი გაველურებული—ერგასიოფიგო-  
ფიტები.

კოლხეთის ადვენტურ სახეობათა დიდი ნაწილის დიასპორა  
კულტურულ მცენარეთა სათესლე და სარგავ მასალას 'შემოკცვა.  
ფლორის უცხო სახეობებით გამდიდრებაში ბუნებრივ აგენტთა  
როლი უმნიშვნელოა, რომელიც სახეობის კონტინენტის მასშტაბით  
გავრცელებაში გამოიხატება.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში აბორიგენული ფლორის  
გამდიდრებაში დიდია გაველურებული სახეობათა ხვედართი წილი.

## აჭარის ადვენტური ფლორის კლასიფიკაცია

ფლორის ადვენტური არეალის ფორმირება რთული პროცესია და ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს. არეალის ამ ტიპში ერთიანდება ისეთი სახეობები, რომელთა ადგილობრივი ფლორის შემადგენლობაში გამოჩენა მცენარეულობაზე ანთროპოგენურ ფაქტორთა შემოქმედებით ხდება. ადვენტური არეალის სახეობრივი შემადგენლობის დასუსტების შემდგომი, ანალიზის დროს იბადება კითხვა: როდის, რა გზებითა და საშუალებებით შემოაღწია ამა თუ იმ სახეობამ? რა ბიოლოგიურ თავისებურებებს ამჟღავნებს მისთვის ახალ გარემოში? ამ კითხვებზე ფლორის ადვენტური სახეობებით დაინტერესებულ ბევრ მკვლევარს მიუქცევია ყურადღება და ადვენტურ მცენარეთა მრავალი კლასიფიკაცია აქვთ შემოთავაზებული [Kornas, 1968; Schraeder, 1969; Дорогостайская, 1972; Sukopp, 1972; Яброва-Колаковская, 1977; Игнатов, Чичёв, 1989]. ისინი სხვადასხვა პრინციპზეა აგებული. მიუხედავად ამისა, ყოველ მათგანს მცენარეთა მიგრაციის გზები და საშუალებები, ადვენტთა შემოჭრის დრო და ახალ გარემოში ინვაზიის თავისებურებები, ნატურალისაციის დონე უდევს საფუძვლად. თითოეული მკვლევარი იყენებს რა ადრინდელ კლასიფიკაციებს, საკუთარ მასალაზე დაყრდნობით იძლევა ახალს, ზოგიერთი ტერმინოლოგიის შეცვლით. ძირითადად კლასიფიკაციები, როგორც აღვნიშნეთ, სამ კრიტერიუმზე—მცენარეთა შემოჭრის დროზე, გზებსა და საშუალებებზე, ინვაზიის თავისებურებებზეა დაფუძნებული. ა. გროსპეიმი [Гроссгейм, 1939] იყენებს რა თუმის [Touchy, 1857] კლასიფიკაციას, კაკასიის ადვენტურ ფლორას სამ ჯგუფად ჰყოფს:

1. სახეობები, რომლებიც დროდადრო გამოჩნდებიან და ქრებიან.  
 2. სახეობები აკლიმატიზებული, ანუ ისეთები ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომ იზრდებიან ერთსა და იმავე ადგილზე. 3. ნატურალური სახეობები, დამკვიდრებული ადგილობრივი ბუნებრივი ცენოზების შემადგენლობაში. ადვენტთა დაყოფის ამ პრინციპს, ძირითადად ახალ გარემოში უცხო მცენარეთა გავრცელების თავისებურებები უღვევს საფუძვლად. თელლუნგი [Thellung, 1918-19], კოჟევნიკოვა, რუბცოვი [Кожевникова, Рубцов, 1971], დოროგოსტაისკაია [Дорогостайская, 1972] ამ ნიშან-თვისებებთან ერთად, ადვენტურ მცენარეთა ახალ გარემოში ბიოლოგიურ თავისებურებებსაც ითვალისწინებენ. კორნასი [Kornas, 1968] ეყრდნობა რა თელლუნგის [Thellung, 1915] კლასიფიკაციას, პოლონეთის მთელი სინანტროპული მცენარეების დაყოფას ახდენს და მას ისტორიულ-გეოგრაფიულ კლასიფიკაციას უწოდებს რომლის მიხედვითაც ყველა ანთროპოფიტი, ე.ი. ადვენტი, შემოტანილი ადამიანის მიერ, შემოჭრის დროის მიხედვით იყოფა: არქეოფიტები—ბუნებრივ მცენარეულობაში დამკვიდრებული სახეობები, ეპეკოფიტები—რუდერალურ და სხვა დანაგვიანებულ ადგილებში განსახლებულნი და ეფემეროფიტები ანუ გამოჩენის შემდეგ სწრაფად ქრობადი სახეობები. პოლონეთის ადვენტურ მცენარეთა კლასიფიკაციის სქემაში ბოტანიკოსებს ა. კრავეკოვასა და კ. როსტანსკის ზოგიერთი დამატებები შეაქვთ [Ярнова-Коллаковская, 1977]. ეს ავტორები კენოფიტებს ერგასიოფიტებად გზადმოყოლილ ადვენტებად და ერგასიოფიგოფიტებად გაველურებულ მცენარეებად [თელლუნგის მიხედვით] ყოფენ. აბორიგენულ მცენარეულობაში დამკვიდრების მიხედვით კი ორივე ჯგუფს: ეფემეროფიტებს - სწრაფად ქრობად და ეპეკოფიტებს - მკვიდრად დაფუძნებულ სახეობებს აკუთვნებენ. ე. დოროგოსტაი-

სკაია [Дорогостайская, 1972] რუსეთის უკიდურესი ჩრდილოეთის ანთროპოგენური ფლორის ადვენტურ სახეობებს ეყოფს: კულტურულ მცენარეთა სარეველებად, რუდელარულ და სხვა დანაგვიანებული ადგილებისა და ბუნებრივ მცენარეულობაში სრულ 'სრდა-განვითარებად და განახლებად ნატურალისებულ სახეობებად. ვ. იაბროვა-კოლაკოვსკაია [Яброва-Колаковская, 1977], თელჯუნგის [Thellung, 1915], კორნასის [Kornas, 1972] და სხვათა კლასიფიკაციების კრიტიკული ანალიზის 'შემდეგ გვთავაზობს აფხაზეთის ადვენტური ფლორის საკუთარ სქემას. აფხაზეთში 'შემოდღევის დროის მიხედვით ადვენტურ სახეობებს სამ ჯგუფად - არქეოფიტებად, კენოფიტებად [კორნასის გაგებით] და ეპეენოფიტებად [XX საუკუნეში 'შემოჭრილნი] ჰყოფს. აბორიგენულ მცენარეულობაში მოხვედრის გზებისა და სამუქალებების მიხედვით კი აგრესტოფიტებად და ერგასიოფიტებად. ნატურალისაციის დონის გათვალისწინებით ეყოფს: აგრიოფიტები ბუნებრივ მცენარეულობაში დამკვიდრებული სახეობები, ეპეკოფიტები - რუდელარ და სხვა დანაგვიანებული ადგილების სახეობები და ეფემეროფიტები გამოჩენის 'შემდეგ მალე ქრობადი სახეობები. მოსკოვის ოლქის ადვენტურ ფლორაში მ. იგნატოვი და ა. ჩიჩოვი [Игнатов, Чичёв, 1989] უცხო სახეობებს 'შემოდღევის დროის მიხედვით 5 ჯგუფად ჰყოფენ: 1. სახეობები XVIII საუკუნემდე 'შემოდღეული, 2. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 3. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, 4. XX საუკუნის პირველ სამ ათეულში, 5. XX საუკუნის მეორე სამ ათეულში და 'შემდგომ [1967-1988 წლებში] 'შემოჭრილნი. აფშერონის ადვენტური ფლორის მცენარეებს 6. მამედოვი [Мамедов, 1989] მიგრაციის დროის, სამუქალებებისა და გზების, მიგრანტთა ნატურალისაციის დონის მიხედვით ჰყოფს. ამავდრე რეგიონის მცენარეულობაში დამკვიდრების

დონის მიხედვით კი ადვენტები 'შემდეგნაირად არიან დაყოფილი: ეკოფიტები მეორადი ცენოზების 'შემადგენლობაში 'შესულნი; აგრიოფიტები - ბუნებრივ ფიტოცენოზებში დამკვიდრებულნი; აგრიოპეკოფიტები დამკვიდრებულნი როგორც პირველად, ისე სახეცვლილ—მეორად ფიტოცენოზებში; ეფემეროფიტები—დროებითი. გამოჩენის 'შემდეგ მალე ქრობადი სახეობები.

ადვენტურ მცენარეთა სხვადასხვა კლასიფიკაციათა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ თითოეული ავტორი მათ თავისი მისწრაფებისა და ამოცანების გათვალისწინებით, სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე აგებს. ამიტომაც ჯერჯერობით, ერთიან, ყველასთვის მისაღებ კლასიფიკაციად არცერთი არაა აღიარებული. ეს მეტნაკლებად ცალკეულ რეგიონთა ადვენტური ფლორის სპეციფიკურობითაც აიხსნება.

ადვენტური სახეობების დაყოფა და სხვადასხვა ჯგუფებში გაერთიანება პირობითი და დროებითია, რადგან, როგორც ვთქვით, მცენარეთა მიგრაცია და ინვაზია-ნატურალისაცია რთული და ისტორიულად ხანგრძლივი პროცესია. ამას არქეოფიტთა აბორიგენულ მცენარეულობაში დამკვიდრება და მათი როლიც გვიჩვენებს. ახალ გარემოში გავრცელება-განსახლება და ადვენტების არეალის გაფართოება ხანგრძლივი ევოლუციური პროცესია, რომლის დროსაც არსებობის 'შეცვლილი პირობების შესაბამისად მცენარეთა სახეობების პოტენციური ბიოეკოლოგიური 'შესაძლებლობები ვლინდება [ა.დიასამიძე, 1995, 1999]. მცენარეთა მიგრაცია როგორც სხვა ყველა ბიოლოგიური მოვლენა, მოითხოვს გარკვეულ დროს დიასპორის გავრცელებისათვის, ამიტომ ინვაზიის ხასიათით 'შეიძლება ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ადვენტური სახეობის მიგრაციისა და 'შემოდწევის დროსეც. აჭარის ყველა არქეოფიტი ადვენტი ბუნებრივი ცენოზების კომ-

პონენტია, მაშინ როდესაც იმავე გვარის სხვა სახეობები [იმავე ოლქებიდან], გვიან 'შემოჭრილნი, ჯერ კიდევ სახეცვლილ მეორად ფიტოცენოზების 'შემადგენლობაში დამოუკიდებელი ცენტრიკური დაჯგუფებების 'შემქმნელნი არიან. ისე როგორც ყველა ნეოფიტი აღვენტიც, ინვასია-ნატურალისაციისათვის განსახდვრულ დროს მოითხოვს. ინვასია-ნატურალისაციის პროცესი რთული და ხანგრძლივი ადაპტაციის 'შედეგად ხორციელდება და მიკრო-ეკოლოგიურ გადახრებსაც მოიცავს. აღვენტური სახეობა ახალ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში, 'უცხო კონკურენტებთან ბრძოლაში განიცდის საკმაოდ სწრაფ ეკოლოგიურ გარდაქმნებს [Понерт, 1979]. ადაპტაციის დროს 'შეიმსნევა მორფოფიზიოლოგიური გადახრებიც. აღვენტური სახეობების, კონტინენტის 'მიგნით გავრცელება-განსახლების პროცესში, აჭარისსქელის ხეობაში სიმაღლის მატებასთან ერთად, *Erigeron canadensis*-ის, *Elscholtzia ciliata*-ის, *Commelina communis*-ის და სხვა სახეობათა ფენოფასები მცირდება, მცირდება აგრეთვე ევავილედში ევავილთა რიცხვი, კლებულობს მცენარის მესლასმორისების სიგრძე და რაოდენობა. აღვილსე სახეობათა ასეთი მორფოლოგიური გადახრები მიგვეთითებს მათი ჩვენთან ინვასიის ასაკზე.

აღვენტურ მცენარეთა 'შემოჭრის მიახლოებითი დროის დადგენა კულტურულ მცენარეთა ინტროდუქციის პერიოდის დასრულებითაც 'შეიძლება. ამა თუ იმ კულტურის დანერგვა, მისი თანამგზავრი აღვენტი-სარეველების 'შემოღწევის დროსაც გვიჩვენებს. საარსებო პირობების გარდაქმნა-'შეცვლილთაც 'შეიძლება დადგინდეს აღვენტთა 'შემოჭრის 'ზუსტი პერიოდი. როგორც 'ზემოთაც აღვნიშნეთ, ბევრი აღმოსავლეთაზიური აღვენტური მცენარის ჩვენთან 'შემოჭრა-გავრცელებაც და ინვასია ჩაის კულტურის გამშენებასთან, კოლხეთის ტყეების ამოძირკვასა და

ჭაობების ამოწრობის პერიოდს უკავშირდება. ბევრი არქეოფიტის შემოჭრა-გავრცელებაც პირველი სამხრეთული კულტურების— ბრინჯისა და სხვა მსგავსთა ჩვენთან შემოტანა-მოყვანასთან, ჩაის კულტურის თანამგზავრი სარეველები კი—ამ კულტურის გაშენებასთანაა დაკავშირებული.

აჭარის ადვენტურული ფლორის მცენარეთა ფლორისტული, ცენოტიკური, ბიომორფოლოგიური მასალები, ახალ გარემოში რიტ-მოლოგიურ-ეკოლოგიური თავისებურებანი, სხვადასხვა ადვენტურული ფლორებსე მიძღვნილი ფართო ლიტერატურის მიმოხილვა და მრავალ კლასიფიკაციითა ანალიზი გვაძლევს საშუალებას, წარმოვადგინოთ აჭარის ადვენტურ მცენარეთა კლასიფიკაციის სქემა [ნახ.2]. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რადგან არსებულ ტერმინთა 'სინაარსი ავტორთა მიერ არაერთგვაროვნადაა გაგებული, 'შევეცადეთ ისინი დასუსტება-დაცოცრების შემდეგ გამოგვეყენებინა.

აჭარის ადვენტური ფლორის კლასიფიკაციას სამი კრიტერიუმი: მიგრაციის დრო, ინვასიის გზები და საშუალებები, ინვაზია-ნატურალისაციის დონე უდევს საფუძვლად.

მიგრაციის დროის მიხედვით ადვენტური სახეობები 4 ჯგუფად იყოფა:

1. არქეოფიტები [უძველესი] — ეველასე ადრე, XV-XVI საუკუნემდე შემოჭრილნი, რომელთა პირველად გამოჩენის ზუსტი დროის დადგენა ძნელდება.
2. კენოფიტები [ძველი]—XVI-XIX საუკუნეებში შემოჭრილნი, რომელთა პირველად გამოჩენის დრო მიახლოებითი და სავარაუდოა.
3. ნეოფიტები [ახალი] — XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე შემოჭრილნი, რომელთა პირველად გამოჩენის დრო მეტნაკლებად ზუსტია.



4. ევენოფიტები [უახლესი] — XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ამავვე საუკუნის დასასრულამდე შემოჭრილნი, რომელთა პირველად გამოჩენის დრო სუსტია.

მიგრაციის გზებისა და საშუალებების მიხედვით ადვენტები იყოფა ორ ჯგუფად: 1. აგრესტოფიტები – გსადმოყოლილნი და 2. ერგასიოფიტოფიტები გაველურებულნი.

ინვასია-ნატურალისაციის თავისებურებების მიხედვით ადვენტთა სახეობები იყოფა 4 ჯგუფად:

1. ეფემეროფიტები — სუსტად ნატურალისებული სახეობებია, რომლებიც ვერანაირად ვერ მრავლდებიან და ამიტომაც ვერც ვრცელდებიან, მხოლოდ დროდადრო ალაგ-ალაგ უმნიშვნელო რაოდენობით გამოჩნდებიან. მათ განახლება არ შესწევთ და უგსო-უკვლოდ იკარგებიან.


2. ეპეოფიტები—სახეცვლილი მეორადი ცენოზებისა და აგროცენოზების შემადგენლობაში სრდა-განვითარების სრული ციკლით ხასიათდებიან. ისინი, თითქმის მთელი სავეგეტაციო პერიოდის გამავლობაში სხვადასხვა ფაზაში გვსდებიან, დაწებული აღმონაცენიდან [ვეგეტაციიდან], თესლის მომწიფების ფასით დამთავრებული. მათგან უმეტესობა ტიპიური სარეველაა.

3. პრონოფიტები — სახეცვლილი მცენარეულობის ძირითადი წარმომადგენელებია და მეორად ცენოზებში სძირად დამოუკიდებელ ცენოლაჯგუფებებს ქმნიან. მათგან სოგიერთი წლის სხვადასხვა სეზონში ასპექტის შემქმნელია.

4. ნეონდიგენოფიტები — აბორიგენული მცენარეულობის პირველადი ცენოზების კომპონენტებია. მათში ყველა არქეოფიტია გაერთიანებული, აგრეთვე პრონოფიტთა დიდი ნაწილი. სოგიერთი ნეოფიტიც.

მართალია სოგიერთი ნეონდიგენოფიტი ცენოსში განვითარების ციკლს ვერ ასრულებს [თესლის მომწიფებას], მაგრამ ევგენიკური გზით მისი აქტიური გამრავლება სრდის რა პოპულაციებს, მის მიერვე შექმნილი დაჯგუფებებით ხშირად ავიწროებს აბორიგენებს და კიდევაც დევნის. კულტურული ნიადაგები და მცირე კონკურენცია ხელსაყრელ პირობებს, ე.წ. „მოსამსადებელ პლაცდარმს“ ქმნის რიგი პრონეოფიტებისათვის, მაგრამ ნეონდიგენოფიტებისაგან განსხვავებით ისინი ძნელად მკვიდრდებიან აბორიგენულ ცენოზებში. ვერც კოლხეთის ტყეების შთენილებში აღწევენ. გაცულტურებულ, ადამიანის მიერ გარდაქმნილ-გაუმჯობესებულ საარსებო გარემოში ნეონდიგენოფიტებთან შედარებით ისინი ადგილობრივი მცენარეულობისათვის ახალია სოგიერთი კი ნაკლები მესოფიტური თვისებებითაც ხასიათდება, რითაც არ შეესაბამება სამხრეთი კოლხეთის მცენარეულობის სონალურ ხასიათს.

აღვენი 439



111

ნახაში 2. აზრების ადვანტიური ფალორის კლასიფიკაია

ბოტანიკურ-გეოგრაფიული და ცენოტეკური კანონსომიერებანი. დაკავშირებული ადვენტურ სახეობათა თავისებურებებთან ერთ-ერთი მთავარი პირობაა მათი ახალ გარემოში ადაპტაციისათვის. ეს ყოველივე კი ინვასია-ნაჭურაღისადაც, ე.ი. განვითარების სრული ციკლის გავლით გვირგვინდება. ბოლოს და ბოლოს ყალიბდება სახეობის დისქუქციური არეალი, რომელიც ასახიათებს აჭარის ყველა არქეოფიტს, ბევრ კენოფიტს და სოგიერთ ნეოფიტსაც კი.

აჭარის ადვენტური ფლორის ფორმირებაში დიდი როლი ეპეკოფიტებს [138 სახეობა] და პრონეოფიტებს [144 სახეობა] ეკუთვნის. ნეონდიგენოფიტები [91 სახეობა], რომლებიც ადვენტური ფლორის 20%-ს შეადგენს, ბუნებრივ პირველად ცენოზეზშია დამკვიდრებული, სოგიერთები კი პრონეოფიტებთან ერთად სდვისპირა აჭარის მეორადი ცენოზების ძირითადი შემქმნელია. ეფემეროფიტები [96 სახეობა] ადვენტური ფლორის 18%-ს შეადგენს, რომელთა აჭარის ფლორაში მონაწილეობა არასტაბილურია.

# აჭარის ადვენტური ფლორის გამოგრაფიული წარმოშობა

ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით კი მცენარეულობის გაძლიერებული ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილმა ანთროპოგენურმა ფაქტორებმა მსოფლიოს ფლორისტული ოლქებისა და პროვინციათა ფლორების მოსჭლი ადოქტონური [გენეტიკური თვალსაზრისით] ელემენტები ადვენტური სახეობებით გაზარდა. ეს უკანასკნელი თავისი გავრცელების ისტორიის, მიგრაციის გზების, აბორიგენულ მცენარეულობაში ინვაზიის თავისებურებებით და გეოგრაფიული წარმოშობით ერთმანეთისაგან განსხვავდება. აქედან გამომდინარე ბოლო ათწლეულებში ბუნებრივმა მცენარეულობამ ერთობ მოზაიკური ხასიათი მიიღო. გარყვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ფლორებში მცენარეთა თანდათან გავრცელებით არეალის ახალი – ადვენტური ტიპი ჩამოყალიბდა, რომელიც სხვადასხვა გეოელემენტისაგან შედგება. ფლორის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზიც ამ მრავალფეროვნების კანონზომიერებებს ადგენს. ადვენტური ფლორის სახეობები ერთმანეთისაგან როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული გეოგრაფიული გავრცელებით ხასიათდება. მსგავსი არეალის სახეობები ადვენტური ფლორის ცალკეულ გეოგრაფიულ ელემენტადაა მიჩნეული.

ყველა ადვენტი ერთი ნიშნით არის გაერთიანებული. აჭარის ფლორაში მათი მონაწილეობა თითოეულის გავრცელებას განსახლების და მიგრაცია-ინვაზიის შედეგია. ადვენტური სახეობის წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას საჭიროა განისაზღვროს მისი კავშირი და დამოკიდებულება არა მარტო დედამიწის

ბუნებრივ ზონებთან, არამედ ფლორისტულ ოლქებთან და პროვინციებთან. ბორეალურ, ჩრდილოეთის, სამხრეთის, სუბტროპიკულ, ტროპიკულ სახეობეად და სხვა ამდაგვარ ნიშნებით დაყოფა [როგორც ამას ადრე მკვლევარები აცთებდნენ], მხოლოდ სახეობის თავდაპირველი საერთო გავრცელების, ანდა წარმოშობის ცენტრებიდან მიგრაციის მიმართულებებზე მიგვანიშნებს. მაგალითად, ბევრი სუბტროპიკული ადვენტის ჩვენთან მიგრაცია და ინვაზია, პირველი სამხრეთული კულტურის კოლხეთში ინტროდუქციასა და კულტურაში დანერგვას უკავშირდება. სახეობების ამდაგვარი დაჯგუფება სრულად მათ არა მარტო წარმოშობასე, არამედ გავრცელების საერთო არეალსაც კი არ მიუთითებს. ამ პრინციპითაა დაჯგუფებული კავკასიის ადვენტური ფლორის სახეობები [Гроссгейм, 1936].

ადვენტური ფლორის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზი მრავალ ავტორთა [Протопопова, 1966; Яброва-Колаковская, 1977; Пузырёв, 1986; Баранова, Хилова, 1989; Небайкин, 1989] ნაშრომებშია მოცემული.

აფხაზეთის ადვენტურ ფლორაში [Яброва-Колаковская, 1977] გამოყოფილია ხუთი—ხმელთაშუასღვისპირეთის, ბორეალური, სუბტროპიკული, ტროპიკული და კოსმოპოლიტური არეალის ტიპი, თითოეულ მათგანში შედარებით მსგავსი არეალის მქონე სახეობები ცალკე ჯგუფებადაა დაყოფილი. მაგალითად, არეალის ბორეალურ ტიპში გამოყოფილია ევრასიული და ჩრდილო-ამერიკული, სუბტროპიკულ და ტროპიკულში კი სამხრეთ-აფრიკული და ავსტრალიური სახეობები.

უემოთ აღინიშნა, რომ კავკასიისა და კოლხეთის ადვენტური ფლორების გეოელემენტებად დაყოფის პრინციპის გამოყენებით [Гроссгейм, 1936; Мазуренко, Хохряков, 1972] აჭარის ადვენტ-

ტთა ამა თუ იმ ელემენტში გაერთიანება საკმაო სიმნელეებთანაა დაკავშირებული.

ადვენტური ფლორების გეოგრაფიულ ანალითა მიმობილეა გვინვენებს, რომ ფლორის სპეციფიკურობისა და კვლევის მინების შესაბამისად, თითოეულ ავტორს თავისებურად აქვს გაგებული თანამედროვე, საერთო გეოგრაფიული გავრცელების საფუძველზე სახეობების ამა თუ იმ არეალის ტიპში გაერთიანება. ზოგიერთი ამას ბუნებრივ 'სონებში სახეობების გავრცელების თავისებურებებზე დაყრდნობით ახდენს, ზოგიც მსოფლიოს ფლორისტული დარაიონების სქემას იყენებს მათი ბოტანიკურ-გეოგრაფიულ ელემენტებად დაყოფისას.

ბოტანიკურ-გეოგრაფიული ელემენტები	სახეობათა რაოდენობა	% ადვენტთა საერთო რიცხვიდან
ალმოსავლეთაზიური	117	26,2
ხმელთაშუაზღვისპირეთის	134	30,6
ატლანტური ფროპის	106	24,3
ჩრდილოეთატლანტიკური ამერიკის	46	10,5
ბრაზილიის	24	5,6
კოსმოპოლიტური	12	2,8
სულ	439	100%

ცხრილი 4. აჭარის ადვენტური ფლორის სახეობების ბოტანიკურ-გეოგრაფიულ ელემენტებად დაყოფა

მცენარეების გვართა მონოგრაფიული გამოკვლევები, კოლხეთში კულტურულ და ადვენტურ სახეობათა მიგრაციის შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, ამასთანავე თითოეული სახეობის თანამედროვე დიზუქციის თავისებურებანი, გვაძლევს სწორ წარმოდგენას აჭარის ადვენტური სახეობების წარმოშობასა და მათ თავდაპირველ განსახლებაზე – პირველად არეალზე.

სახეობის თანამედროვე განსახლების [არეალოგიური], ამასთან ერთად წარმოშობის [ფლოროგენეტიკური] ანალიზის საფუძველზე, აჭარის ადვენტური ფლორა შემდეგ გეოელემენტებად იყოფა: აღმოსავლეთაზიური, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ატლანტური ევროპის, ჩრდილოეთ-ატლანტური ამერიკის, ბრაზილიის და კოსმოპოლიტური [ცხრ.4]. ადვენტური ფლორის ფლოროგენეტიკური [ფლორიტული] ოლქები ა. ტახტაჯიანის [Тахтаджян, 1978] სისტემითაა. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს ადვენტური ფლორა ძირითადად აღმოსავლეთაზიური [26,2 %], ხმელთაშუაზღვისპირეთის [30,6%] და ატლანტური ევროპის [24,3%] ფლოროგენეტიკური ელემენტებითაა შექმნილი, რომლებიც ერთად 357 [82%] სახეობას შეადგენს. მხოლოდ 10%-ითაა წარმოდგენილი ჩრდილოეთ-ატლანტური ამერიკის ელემენტები. ბრაზილიურ [5,6%] და კოსმოპოლიტურ [2,8%] სახეობათა რაოდენობა კი უმნიშვნელოა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ-აზიის და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახეობები უმეტესწილად ნოტიო სუბტროპიკების წარმომადგენლებია. გეოელემენტები არა მარტო პროცენტული შემადგენლობით, არამედ აბორიგენულ მცენარეულობაში მათი როლითა და მონაწილეობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან [ცხრ.5]. ნეონდიგენოფიტები, რომლებიც დიდი ხანიაა რაც აბორიგენულ მცენარეულობაში დამკვიდრდნენ, 91 სახეობაა. მათგან 44 აღმოსავლეთაზიურია, 29 ატლანტური ევროპის. ადვენტური ფლორის ელემენტებიდან ეფემეროფიტი 96 სახეობაა, რომელთაგან თითქმის ნახევარი [41] სახეობა ხმელთაშუაზღვისპირეთის ელემენტია, ე.ი. 134 ხმელთაშუაზღვისპირეთის გეოელემენტებიდან 41 ე.წ. „გამელელი“ ადვენტია. აჭარის ნოტიო სუბტროპიკების პირობები მათთვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა და მალე გაქრნენ. მაშასადამე, დღეს



აჭარის ადვენტურ ფლორანში 93 სახეობაა ხმელთაშუასღვისპირეთის ელემენტი. აღმოსავლეთაზიური სახეობები [96] ინარჩუნებენ მთავარ როლს არა მარტო მეორადი ცენოზების 'შექმნაში, არამედ ადვენტური ფლორის გამდიდრებაში. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ მიგრაციის გზით ფლორის გამდიდრება დამოკიდებულია არა მარტო ღიასპორის გადატანასა და გავრცელებასე, არამედ სახეობის ადაპტაციის პოტენციურ 'შესაძლებლობაზე. მოუხედავად ამისა, გადაშენებულ როლს ფლორის გამდიდრებაში 'ქედარებით მსგავს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ღიასპორის მოხვედრა ასრულებს.

ბოტანაურ-გეოგრაფიული ელემენტი	ჭკუჭები ნატურალიზაციის დონის მიხედვით				
	ნეონდოგენოფიტი	ეპეოფიტი	პრონეოფიტი	ეფემეროფიტი	სულ
აღმოსავლეთაზიური	44	27	25	21	117
ხმელთაშუაზღვისპირეთის	9	41	43	41	134
ატლანტიკური ევროპის ჩრდილოეთ	29	27	26	24	106
ატლანტიკური აფრიკის	2	26	15	3	46
ბრაზილიის	2	13	2	7	24
კოსმოპოლიტური	5	4	3		12
სულ	91(21%)	138(31%)	114(26%)	96(22%)	439

ცხრილი 5. აჭარის ადვენტური ფლორის გეოელემენტთა ნატურალიზაციის დონის მიხედვით დაყოფა

მცენარეული სახეობის განსაკუთრებით კი ადვენტურების გავრცელება-განსახლების პროცესში, რომელთა ახალ ადგილებში 'შეღწევა და იქ თანდათანობითი ინვასია დოკუმენტური მონაცემებით სარწმუნოა, ცალკეულ გეოელემენტთა მიგრაციის დროისა და მიმართულებების განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია [ცხ.6]. ადვენტთა ცალკეული გეოელემენტებიდან აჭარაში 'შემოჭრის დროის მიხედვით ყველაზე ძველი - არქეოფიტები [8]

ადმოსავლეთაშიური ელემენტია. უძველესი დროიდან კოლხეთის კავშირ-ურთიერთობამ [აბრეშუმის გზით] ახიის [წინა, მცირე და შუა ახიის] ქვეყნებთან განაპირობა უძველესი, სუბტროპიკული, ე.წ. სამხრეთული კულტურების წვენში შემოჭრა და ინვასია. ამ პერიოდში, სამხრეთ-კოლხეთში ადვენტთა მიგრაცია სამხრეთული და სამხრეთ – ადმოსავლური გზით ხდებოდა [Гроссгейм, 1936]. კენოფიტებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ატლანტური-ევროპის და ხმელთაშუაზღვისპირეთის ელემენტებია [ცხ.6]. ამ პერიოდში [XVI - XIX ს.ს.] ადვენტთა მიგრაცია ძირითადად დასავლეთური გზით ხდებოდა. ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთ ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან უმჯობესდება სახმელეთო ტრანსპორტით მიმოსვლა და ხალხთა შორის კავშირები ფართოვდება. ამ დროს კავკასიისადმი ინტერესი დასავლეთში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და კოლხეთიც მათთვის საინტერესო რეგიონი ხდებოდა. ხმელთაშუაზღვისპირეთის და ევროპის სხვა ბევრი ქვეყნიდან მრავალი კულტურული მცენარე [მათ შორის ამერიკული წარმოშობისაც] ამ გზით შემოიტანებოდა. იმდროინდელ გამწვანებაში ძირითადად ევროპული წარმოშობის სახეობები ჭარბობდა, რომელთა კვალი დასავლეთ საქართველოს ქალაქების გამწვანებას დღესაც აჩნია [Самхарадзе-Мерквилашвили, Багратишвили, 1985]. მცენარეთა ინტროდუქციასა და დანერგვას თან სდევდა სარეველების შემოყოლა [გსადმოყოლილები] და ეგსოტთა თანდათანობითი გავლურება [ერგასიოფიგოფიტები].

ადმოსავლეთი - ახიის სუბტროპიკებიდან მცენარეთა აქტიური ინტროდუქციითა და დანერგვით, შემდგომში კი მათი თანდათანობითი გავლურებითაა გამოწვეული ნეოფიტებში ადმოსავლეთ-აშიურ ელემენტთა ზრდა [ცხ.6]. ხმელთაშუაზღვისპირეთის

ელემენტთა ზრდა კი კოლხეთის გარემო პირობების [ჭაობების ამოქრობა, ნოტიო ტყეების ამოძირკვა] 'შეცვლა-გაქსეროფილურობასთანაა დაკავშირებული. ეს პროცესი არა მარტო ცენტრალური, არამედ ჩრდილოეთი კოლხეთისათვის – აფხაზეთისთვისაცაა დამახასიათებელი [Янрова-Колаковская, 1977]. ევნეოფიტებშიც დიდია ხმელთაშუასღვისპირეთის ელემენტთა რაოდენობა [ცხ.6], რაც ბოლო ათწლეულებში მსგავსი წარმოშობის მცენარეთა არა მარტო მიგრაცია-ქემოჭრამ, არამედ ინტრო-დუცენტ-ეგსორტთა გავლერებაშეც განაპირობა [Дмитриева, 1967; Давиатадзе, 1974].

ბოტანიკურ-გეოგრაფიული ელემენტი	ჭველები ნატურალიზაციის დონის მიხედვით				
	ნეონდივენოფიტები	ენო-ფიტები	ნეო-ფიტები	ევნო-ფიტები	სულ
აღმოსავლეთაზიური	8	16	53	40	117
ხმელთაშუაზღვისპირეთის	1	41	63	29	134
ატლანტური ევროპის ჩრდილოეთ	—	51	33	22	106
ატლანტური აფრიკის	—	5	23	18	46
ბრაზილის	—	5	10	9	24
კონსმოპოლიტური	—	7	5	—	12
სულ	9(2%)	125(28%)	187(44%)	118(26%)	439

ცხრილი 6. აჭარის ადვენტურული ფლორის გეოელემენტთა მიგრაციის დროის მიხედვით დაყოფა

ყოველი ფლორისტული რაიონისათვის დამახასიათებელია თავისი ადვენტური ფლორა, სახეობათა სპეციფიკური 'შემადგენლობით. რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონის ადვენტურ ფლორაში ცენტრალურევროპული, ხმელთა-შუასღვისპირეთის, ატლანტური ევროპის და ამერიკული წარმოშობის სახეობები ჭარბობენ [Баранова, Хилова, 1989]. ხაბაროვსკის

ოლქის ადვენტურ ფლორაში ევროპული და ჩრდილო-ამერიკული ელემენტებია ყველასე მრავალრიცხოვანი [Небайкин, 1989]. ყირიმის 133 ადვენტური სახეობიდან 67 უძველესი ხმელთაშუასღვისპირეთის ელემენტებია [Кожевникова, Рубцов, 1973]. აფხაზეთში [ჩრდილოეთ კოლხეთში] წამყვანი როლი ჩრდილო-ამერიკულ და ხმელთაშუასღვისპირეთის ელემენტებს ეკუთვნის [Яброва-Колаковская, 1977]. ცენტრალური კოლხეთის ფლორისტულ რაიონში ხმელთაშუასღვისპირული და 'შუა ევროპული სახეობები დომინირებენ [Мазуренко, Хохряков, 1972]. აჭარის – სამხრეთი კოლხეთის ადვენტურ ფლორაში მთავარ როლს აღმოსავლეთი ასიის, ხმელთაშუასღვისპირეთის და ატლანტური ევროპის ელემენტები ასრულებენ. ეს უმეტესად კლიმატური ფაქტორებით, სუბტროპიკული კულტურების დანერგვით და სამხრეთი კოლხეთის ფლორის აღმოსავლეთი ასიის ფლორასთან ნათესაური კავშირითაა განპირობებული, რაც უმეტესწილად ბათუმის მიდამოებშია შენიშნული [Краснов, 1913]. ყოველივე ეს იმასე მიუთითებს, რომ ადვენტური ფლორის ფორმირებაში ანტროპოგენური ფაქტორების განსაკუთრებული როლის მიუხედავად, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ადვენტური სახეობის თავდაპირველი გავრცელების ადგილის ნიადაგურ-კლიმატური პირობების, ინვასიის [ადგილობრივ] პირობებთან მსგავსებას ენიჭება. უკანასკნელ წლებში კლიმატური ანალოგიების თეორიამ, 'სოგიერთი შესწორებებით, საყოველთაო აღიარება მოიპოვა [Шликов, 1969; Харкевич, 1966; Цицидзе, 1973]. ამას ცალკე ფლორისტული რაიონების ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზი [გეოელემენტთა სიჭარბე] და კოლხეთის სხვადასხვა [სამხრეთ, ცენტრალურ, ჩრდილოეთ] ნაწილში ადვენტური ფლორის სპეციფიკური 'შემაღვენლობაც ადასტურებს. ან თუნდაც ის ფაქტი, რომ აჭარიდან

ჩრდილოეთით მოელ დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის ჩათვლით ხმელთაშუაზღვისპირეთის ელემენტები მაგულობს მაწინ, როცა 'სღვისპირა აჭარის სუბტროპიკულ ნაწილში ხმელთაშუა-სღვისპირეთის ისეთმა ტიპურმა სახეობებმა, როგორცაა: Cedrus libanii, Quercus suber, Olea europaea და სხვა, მრავალგნის რეინტროდუქციის მიუხედავად, საერთოდ ვერ კპოვეს გავრცელება. ბათუმისა და მოლიანად აჭარის ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან უძველესი კავშირების მიუხედავად, ჩვენი მხარის მეორად ცენოზებში ხმელთაშუაზღვისპირულ ელემენტთა უმნიშვნელო მონაწილეობა და აჭარის ადვენტური ფლორის ეფემეროფიტების ჯგუფში მათი სიჭარბე ამასვე ადასტურებს.

ამრიგად, აბორიგენულ ფლორაში მიგრაციის გზით შემოღ-წეული და ბუნებრივ მცენარეულობაში ინვასია-ნატურალისებული სახეობები გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბებულ ადვენტური ტიპის არეალში ერთიანდება.

აჭარის ადვენტური ფლორის ფორმირებაში წამყვანი როლი ადმოსავლეთ-ასიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის და ატლანტური ევროპის ელემენტებს ენიჭება, რომელთა სიჭარბე მსგავსი კლიმატური ფაქტორებითა და აღნიშნული ოლქებიდან მცენარეთა აქტიური ინტროდუქციით არის განპირობებული.

ადვენტური ფლორის ეფემეროფიტთა ნახევარი ხმელთა-შუაზღვისპირეთის ელემენტია, რაც სღვისპირა აჭარის ნოტიო სუბტროპიკულმა პირობებმა განაპირობა. მათი დიდი ნაწილი კენოფიტებსე მოადის. ნეოფიტებსა და ევენოფიტებში ამ ელემენტთა სრდას სღვისპირა აჭარის უწინდელთან შედარებით გაქსეროფილებამ შეუწყო ხელი.

მიგრაციის გზით ფლორის გამდიდრებისათვის დიასპორის გადატანა-გავრცელებასთან ერთად, აუცილებელია სახეობის

ადაპტაციის შესაძლებლობები და მისი შედარებით მსგავს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მოხვედრა.

აჭარის ადვენტური ფლორის სხვადასხვა გეოელემენტებით ჩამოყალიბება კოლხეთში მიწათმოქმედების კულტურათა განვითარების სამ ძირითად ეტაპს ემთხვევა. პირველი — ესაა სამხრეთ-აღმოსავლეთასიურ სუბტროპიკულ კულტურათა კოლხეთში დანერგვა [უძველესი პერიოდიდან XVI საუკუნემდე] და ადვენტურ ფლორაში აღმოსავლეთასიურ ელემენტთა გამოჩენა. მეორე — შერეული მიწათმოქმედების ევროპული, აღმოსავლეთასიური და ამერიკული კულტურების დანერგვის [XVI-XIX სს.], ხმელთაშუაზღვისპირეთის და ატლანტური ევროპის ელემენტთა ფართო შემოჭრა-ინვასიის პერიოდი. მესამე — მეოცე საუკუნეში მსოფლიოს სუბტროპიკებიდან კულტურულ მცენარეთა აქტიური ინტროდუქცია და კულტურაში დანერგვაა, რომელსაც თან სდევდა აღმოსავლეთასიურ ელემენტთა ფართოდ შემოჭრა, გავრცელება და ინვასია-ნატურალისაცია.

ადვენტური ფლორის სხვადასხვა გეოელემენტებით გამდიდრება ნიადაგურ-კლიმატური პირობების მკაცრი კონტროლით რეგულირდება. მიგრაცია-ინვასიის პროცესი ადვენტური სახეობის თავდაპირველი გავრცელებისა და ადგილობრივი პირობების ანალოგიურ გარემოში მიმდინარეობს.

# ადვენტურ სახეობათა თანამედროვე გავრცელება აჭარაში და აბორიგენულ მცენარეულობაში ინვაზიის თავისებურებანი

ადვენტური სახეობა, მიგრაციის 'შედეგად ახალ გარემოში მოხვედრილი, ეკობიომორფოლოგიური ადაპტაციის პოტენციური 'შესაძლებლობების 'შესაბამისად იწყებს განსახლებას. მცენარეთა ინვაზიის მისწვების 'შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ამ მიზნით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ნაწილობრივ 'შეავსო მონაცემები მცენარეულობის ტრანსფორმაციის თანამედროვე მძლავრ პროცესში, ადვენტურ სახეობათა როლის 'შესახებ.

ადვენტური ფლორის სახეობები იგივე 'შემოჭრილი მცენარეები ექსპანსიის დროს განსასღვრულ ლატენტურ პერიოდში, გავრცელება-განსახლების ორ, ჩქარ და ფეთქებად ფასას გაივლის [Игнатов, 1989]. ცენტრალურ ევროპაში ადვენტური სახეობის ფეთქებადი გავრცელება განპირობებულია: ადგილის ანთროპოგენური ცვლილებით, კლიმატის 'შეცვლით, 'შემოჭრილ სახეობათა პოპულაციის განსასღვრულ კრიტიკულ დონემდე გამრღით, მათი ახალი ეკოტიპის 'შემოჭრით და ადვენტური სახეობების პოპულაციათა გენეტიკური ცვლილებებით. [Jäger, 1988]. ცენტრალური ევროპის და სხვა რეგიონების ადვენტურ მცენარეთა [როგორც ფეთქებადი ისე სინქრონული] გავრცელების თავისებურებანი სახეობის მიკროეოლოგიურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული.

ადვენტურ სახეობათა ექსპანსიის დროს პოპულაციათა განუწყვეტელი 'ზრდის 'შედეგად ადვენტები ეჯვარებიან აბორიგენებს

და მათთვის დამახასიათებელ გაბატონებული ნიშნების მატარებელ ჰიბრიდებსაც კი წარმოქმნიან [Кондратюк, Тарабрин, Бурда, 1989]. მცენარეთა შემდგომი კოლონიზაციის შედეგად სახეობებში მომხდარი ევოლუციური გადახრების მქონე გენეტიკურად ერთნაირი პოპულაციები მსგავს ეკოტოპებს იკავებენ [Мазуренко, 1971; Яброва-Колаковская, Шенгелиа, 1978; Селедец, 1989], რის შემდეგაც ინდივიდთა ერთობლიობა, რომელიც ეკოლოგიური ზემოქმედებით განპირობებულ მემკვიდრულ ნიშნებს იძენს, ახალ-ახალ ადგილსამყოფელში ვრცელდება. მანქანადაძვე, ადვენტურ სახეობათა განსახლება მოსდევს ბუნებაში მიმდინარე ხანგრძლივი ფორმათა წარმოქმნის მიკროევოლუციური პროცესები, რომლებიც ინვასიის ერთ-ერთი საფუძველია. ამდენად, ანთროპოგენური ფაქტორებით განუწყვეტლივ ცვალებად სამხრეთი-კოლხეთის მცენარეულობაში [ადვენტურ სახეობათა მონაწილეობით], კერძოდ, აჭარის ფლორაში მიმდინარე მიკროევოლუციური პროცესები ანამედროვე ბუნებრივი ფლოროგენეზის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. მსოფლიოს მრავალი რეგიონის აგრეთვე სამხრეთი კოლხეთის უნიკალურ რელიქტურ ფლორაში ასეთმა გარდაქმნებმა ჩვენს მხარეს ისტორიულად მცირე დროში [XX საუკუნეში] აბორიგენული ფლორისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა და სპეციფიკურობა დააკარგინა. ამით სლვისპირა აჭარის მცენარეულობა მოლიანად, შიდამთიანი აჭარის სედა სარტყელის ფიტოცენოზები კი ნაწილობრივ შეიცვალა.

ადვენტური სახეობები ადგილსამყოფელთან დაკავშირების მიხედვით მრავალგვარია. მსოფლიოს უმეტეს რეგიონთა ადვენტური ფლორის სახეობები ბიოტოპთან დამოკიდებულების მიხედვით იყოფა ანთროპოგენური ადგილსამყოფელის [სეგეტალურ, სეგეტალურ – რუდერალურ, რუდერალურ], ბუნებრივ – პირველად



და სახეცვლილ, მაგრამ ბუნებრივი ადგილსამყოფელის – მცენარეებად.

აჭარის ადვენტური ფლორის მცენარეთა ეკოლოგიურ თავისებურებებზე მასალები მოიპოვება სუბტროპიკულ კელტურათა სარეველებზე მიძღვნილ გამოცვლევებში [Дмитриева, 1945; Татишвили, 1958]. ამ ნაშრომში მკვლევარები აჭარის სუბტროპიკული სანაპიროს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში და რუდერალურ ადგილებში მომრავლებულ სარეველა მცენარეებს ეკოლოგიური შესწავლის შემდეგ სეგეტალურ, რუდერალურ და სხვა ცენოელემენტებად ყოფენ. დღეს კი აჭარის მთელი მცენარეულობა და მასთან ერთად ადვენტური ფლორის მცენარეთა ეკოლოგიური სპექტრი ისეთი მოსაიყურია. როგორც რეგიონის ანთროპოგენური ფაქტორების სეწოლის ქვეშ მყოფი აჭარის მთელი ბიომი.

ადვენტური სახეობათა ინვაზიის პროცესის სრული წარმოდგენისათვის მისანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი რეგიონის იმ ადგილების გამოყოფა, სადაც უსწვეტად ხდება უცხო მცენარეთა დიასპორის შემოჭრა – გამოჩენა. ჩვენ მათ ადვენტთა გამოჩენის პირველ კერებს ვუწოდებთ. ასეთი კერები გასადმოყოლილათავის ძირითადად სღვისპირა აჭარის, რკინიგზის გასწვრივ და მისი სადგურების მიმდებარე ტერიტორიებზეა. ანალოგიურია სანერგეები, ბოტანიკური ბაღი და სხვა საყოლექციო ნაკვეთები, სასღვაო პორტის ტერიტორია, ყოფილი მეცხოველეობის კომპლექსების მიმდებარე ადგილები. სღვისპირა გაცორლებული ქვიშა-სიღნარები. გაველურებულთათვის კი ბაღ-პარკები, მიტოვებული გასონები, სვერები, საამშენებლო პოლიგონები. აღნიშნული კერები ადვენტთა შემოაქცევის სონებადაა მიჩნეული [Мосякин, 1989]. მათი შემღგომი გავრცელება-განსახლებისათვის იქმნება ისეთი ე.წ. „სამიგრაციო

დერეფანი”. მოსამ“სადებელი პლაცდარმი [მ. დავითაძე, 1977], როგორცაა: გსები და ქუჩები, მდინარეთა, ნაკაღულოთა და არხების სანაპიროები, ნასვენნი მიწები [მიტოვებუელი ნაკვეთები], ტყის მცენარეულობის “სოენილები და ა. შ. “შემდგომ კი სრული ინვასია – ნატურალისაცისათვის ხდება მეორად, სახეცვლილ მცენარეულობაში და ბოლოს მათი ინდიგენურ – პირველად ფიტოცენოზებში დამკვიდრება.

აღვენტური სახეობები ლატენტური პერიოდის გავლის ხანგრძლივობით ერთმანეთისაგან განსხვავდება. სოგიერთი ამ პერიოდს “შედარებით მოკლე დროში გაივლის და ბუნებრივი – პირველადი მცენარეულობის “შემადგენლობაში აღმოჩნდება, სოგიც ინვასია – ნატურალისაცის პირველ [“შემოღწევის] და მეორე [სამიგრაციო დერეფანში] სონებში ხანგრძლივად რჩება. აღვენტთა ეს თავისებურება მათი აჭარაში თანამედროვე გავრცელებით აიხსნება.

აჭარა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მთიანი რეგიონია და საკმაოდ რთული, მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. მისი უმეტესი ნაწილი მთებსა და დრმა ხეობებს უჭირავს. დაბლობები ვიწრო სოლად მხოლოდ სღვის სანაპიროს გასდევს და ისიც ციხისძირისა და მწვანე კონცხის “შემადლეებებითაა დაყოფილი. მისი რელიეფი, ჰავა და ნიადაგები სიმაღლის სრდასთან შესაბამისად ვერტიკალური მიმართულებით იცვლება. ანალოგიურად იცვლება აგრეთვე ფლორა და მცენარეულობაც. ამიტომ ისტორიულმა და ლანდშაფტ“შემქმნელმა ბუნებრივმა კომპლექსებმა მცენარეულ საფართან ერთად განაპირობეს “შემდეგი ვერტიკალურ-ლანდშაფტული სატყელის გამოყოფა:

1. სღვისპირა დაბლობების ლანდშაფტი 0-დან 25-40 მ-მდე, თბილი ნოტიო კლიმატით, აღუვიური ქვიშა-სილნარი ნიადაგებით, სღვისპირა ქვიშიანებისა და ჭაობების მცენარეულობით,

ჩაისა და სხვა კულტურათა პლანტაციებით.

2. მთისწინების გორაკ-ბორცვების ლანდშაფტი — 25-40-დან 550-600მ-მდე, თბილი ნოტიო კლიმატით, წითელმიწა ნიადაგებით, კულტურულ [ციტრუსები, ტუნგი, ბამბუკი და სხვა] მცენარეულობითა და 'შერეული კოლხური ტყის' მთენილებით.
3. მთის 'შუა სარტყელის ლანდშაფტი – 550-600-დან 2000-2100მ-მდე, ნოტიო 'სომიერი კლიმატით, ყომრალი ნიადაგებითა და წაბლნარებით [550-600-დან 1150-1200მ-მდე], წიფლნარებით [1150-1200-დან 1550-1600მ-მდე], ნაძვნარ-სოჭნარებით [1550-1600-დან 2150-2200მ-მდე].
4. მთის 'ზედა სარტყელისა და მაღალი მთის ლანდშაფტი – 2150-2200-დან 2500მ-მდე. ცივი, ნოტიო კლიმატით. მთამდელის ნიადაგებითა და ტანბრეცილი წიფლნარებით, მაღალბალახეულობით, სუბალპური ბუჩქნარებით და ნაირბალახოვანი მდელოებით [2200-დან 2350მ-მდე], ალპური მდელოებით, კლდეთა და ქვაყრილების მცენარეულობით [2350მ-დან 'ზემოთ].

ადვენტური სახეობები 'სღვისპირა დაბლობიდან ტყის 'ზედა სარტყელამდე [სუბალპებამდე] ვრცელდება. ამიტომ თითოეული ვერტიკალური სარტყელის ფიტოლანდშაფტს 'შემდგომში ასე გამოვიყენებთ: 'სღვისპირა ქვიშიანების, ჭაობის და სხვა ყოფილი ბალახოვანი მცენარეულობის ნარჩენები, ჩაის პლანტაციები – I; 'შერეული კოლხური ტყის 'მთენილები, ჩაის, ციტრუსების, ტუნგის, ბამბუკის და სხვა კულტურათა პლანტაციები – II; წაბლის ტყეები, კულტურულ მცენარეთა — ჩაისა და თამბაქოს პლანტაციები, ვენახები და სიმინდის ყანები – III; წიფლისა და ნაძვნარ-სოჭნარი ტყეები, თამბაქოს პლანტაციები და კარტოფილის მიწვევები, სიმინდის ყანები – IV. სუბალპური მცენარეულობა, წიფლის ტანბრეცილები, მაღალბალახეულობა, სუბალპური ბუჩქნარები,

ნაირბადახოვანი მდელოები - V. აღნიშნულ სარტყელებში ადვენტურ სახეობათა განაწილება [ცხრ. 7] გვიჩვენებს, რომ ყველაზე მდიდარი პირველი და მეორე სარტყელია, სუბალპურ სარტყელში კი ადვენტური ფლორის მხოლოდ 8 სახეობაა: *Convolvulus arvensis*, *Hyoscyanus niger*, *Capsela bursa-pastoris*, *Stellaria media*, *Urtica dioica*, *Polygonum aviculare*, *Fallopia convolvulus*, *Poa annua*.

ზღვისპირა დაბლობების სახეცვლილ მცენარეულობაში 317 სახეობაა ადვენტური, რომელთაგან 81 მხოლოდ აქ არის განსახლებული და სხვა სარტყელში ვერ აღწევს. ვერტიკალურ სარტყელებში ფლორისტულ ელემენტთა შემადგენლობაც განსხვავებულია. ზღვისპირა დაბლობების ადვენტურ ფლორაში უმეტესი ნაწილი ხმელთაშუაზღვისპირეთის ელემენტებზე მოდის [ცხრ. 7]. აქედან შემოჭრილი 138 სახეობიდან 38 ეფემეროფიტი ქსეროფიტია, რომლებმაც აჭარის ზღვისპირეთის [შემოღწევის ზღვისპირა კერების] ჭარბტენიან პირობებს ვერ შეეგუენ და უკვალოდ გაქრნენ.

ტაქსონი	სულ	ვერტიკალური სარტყელი				
		I	II	III	IV	V
ოჯახი	64	62	57	32	16	7
გვარი	261	215	208	96	28	8
სახეობა	343*	317	264	130	33	8

ცხრილი 7. აჭარის ადვენტური ფლორის სახეობების ვერტიკალურ სარტყელებში განაწილება

\* ეფემეროფიტების [96] გამოკლებით

ასეთი ტენდენციის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს 'ზღვისპირა დაბლობების მცენარეულობაში ხმელთაშუა-ზღვისპირეთის ელემენტები მაინც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია [93 სახეობა], რაც ყველა ეფემეროფიტის [96] გამოკლებით ადვენტური ფლორის [343] 26%-ს 'შეადგენს. ისინი აღმოსავლეთაშიურ, ატლანტური ევროპის და აბორიგენულ ელემენტებთან [ძველი ჰოლაქტიკული ტყის, მცირე -ასიური და კოლხური ელემენტთა სხვადასხვა ჯგუფებთან] ერთად დღევანდელი 'ზღვისპირა დაბლობების ბალახოვან მცენარეულობას ქმნიან. ხმელთაშუაზღვისპირეთის და აღმოსავლეთაშიური ელემენტი არა მარტო ადვენტური ფლორის ძირითად ბირთვს წარმოადგენს, არამედ 'ზოგიერთ სხვა ელემენტებთან ერთად დაბლობების მეორადი მცენარეული საფარის განმსასღვრელ ფორმაციითა ასოციაციებს ქმნის: *Ulex europaeus*, *Kummerovia striata*, *Hydrocotyle ramiflora*, *Acalypha australis*, *Hyoscyamus niger*, *Clerodendron foetidum*, *Vitex rotundifolia*, *Perilla nankinensis*, *Elscholtzia ciliata*, *Conyzanthus graminifolius*, *Xanthium occidententale*, *X. Spinosus*, *Artemisia vulgaris*, *Leucanthemum maximum*, *Tritonia crocosmaeflora*, *Polygonum thunbergii*, *P. posumbu*, *P. minus*, *Lysimachia japonica*, *Kyllinga gracillima*, *Cyperus difformis*, *Paspalum paspaloides*, *P. dilatatum*, *Anthoxanthum odoratum*, *Sporobolus fertilis*, *Eleusine indica* და სხვა.

მთის ქვედა სარტყელში, მთისწინების გორაკ-ბორცვებზე აღმოსავლეთაშიურ და ატლანტური ევროპის ელემენტებსე, აქაურ ადვენტურ სახეობათა ნახევარზე მეტი [57%] მოდის [ცხრ. 8]. გორაკ-ბორცვების ფერდობთა დასაწყისში და 'შემდგომ 'ზევით, 'ზღვის დონიდან 500-550 მ-მდე აღნიშნული ელემენტებიდან 'ზოგიერთები როგორცაა: *Spiraea japonica*, *Hydrangea macrophylla*,

*Deutzia scabra*, *Lespedeza juncea*, *Pueraria hirsuta*, *Hybiscus syriacus*, *Rhus javanica*, *Torilis japonica*, *Hydrocotyle ramiflora*, *H. vulgaris*, *Lonicera japonica*, *Quercus mirsinaefolia*, *Clerodendron foetidum*, *Leucanthemum vulgaris*, *Boehmeria nivea*, *Polygonum perfoliatum*, *Lysimachia japonica*, *Dioscorea japonica*, *Tritonia crocosmaeflora*, *Tradescantia fluminensis*, *T. virginiana*, *Miscanthus sinensis*, *Microstegium japonicum*, *Anthoxanthum odoratum*, *Paspalum dilatatum*, *Oplismenus undulatifolius*, *Arthraxon hispidus*, *Hordeum leporinum*, *Festuca heterophylla*, *Pleiblastus distichus*, *P. Pumilis*, *P. Humilis* ასოციაციებს ქმნიან და ბევრ ადგილსე მოლიანად აძევენ ადგილობრივ რელიქტურ სახეობებს.

ბოტანიკურ-გეოგრაფიული ელემენტი	სულ	ვერტიკალური სარტყლი				
		I	II	III	IV	V
ალმოსაგლეჯიანი-ბოტანიკური	96	82	83	25	2	—
ხმელთაშუაზღვის-პირების	93	92	62	36	14	1
ატლანტიკური ფრონის	82	81	68	48	8	3
ჩრდილოეთ-ატლანტიკური ამერიკის	43	34	28	8	2	—
ბრაზილიის	17	14	15	6	1	—
კოსმოპოლიტური	12	12	11	10	6	5
სულ	343	317	264	130	33	9

ცხრილი 8. აჭარის ადვენტური ფლორის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ელემენტების ვერტიკალურ სარტყელებში განაწილება

მათი 'შუა სატყელის ადვენტური ფლორა ძირითადად ატლანტიკური ევროპის და ხმელთაშუაზღვისპირეთის ელემენტებითაა წარმოდგენილი [ცხრ. 8]. ამ სარტყელში სიმაღლის მატებასთან ერთად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის, 'შედარებით მშრალი და ზომიერით 'შეცვლამ ადმოსფეროსფერული სუბტროპიკული

ელემენტების გავრცელება შესაძლებელია. ამიტომაც აქ მხოლოდ 25 სახეობა გვხვდება, თუმცა მათგან ბევრი ნეონდიგენტოფიტია და პირვანდელ ინდიგენურ მცენარეულობაშია დამკვიდრებული: *Spiraea japonica*, *Duchesnea indica*, *Acalypha australis*, *Hydrocotyle ramiflora*, *H. vulgaris*, *Clerodendron foetidum*, *Perilla nancinensis*, *P. ocimoides*, *Elscholtzia ciliata*, *Viola prionantha*, *Gnaphalium affine*, *Polygonum orientale*, *Cannabis sativa*, *Oplismenus undulatifolius*, *Paspalum paspaloides*, *Arthraxon hispidus*.

ხმელთაშუაზღვისპირეთის და ატლანტური ევროპის ელემენტი აჭარის ადვენტური ფლორის სახეცვლილ შეორად ბუნებრივ მცენარეულობასა და აგროცენოზებშია გავრცელებული. სრდილოეთ-ატლანტური ამერიკის და ბრასილიური სახეობები კი კულტურულ მცენარეთა სარეველებია: *Erigeron canadensis*, *E. bonariensis*, *E. crispus*, *Crassocephalum crepidioides*, *Xanthium spinosum*, *Amaranthus lividus*, *A. caudatus*, *A. retroflexus*, *Chenopodium polispermum*, *Ch. album* და სხვა.

მთის სედა სარტყელში 14 ადვენტური სახეობა ხმელთაშუაზღვისპირეთის ელემენტი, 8 – ატლანტური ევროპის, 6 – კოსმოპოლიტურია. ამ სარტყელის ადვენტური სახეობის უმეტესობა კულტურულ მცენარეთა სარეველებია.

სუბალპებში ადვენტური ფლორის 9 სახეობა იზრდება, რომელთაგან – *Hyoscyamus niger*, *Convolvulus arvensis*, *Fallopia convolvulus*, *Urtica dioica* ატლანტური ევროპის ელემენტებია, ფართო ევრასიული არეალით. *Capsela bursa-pastoris*, *Stellaria media*, *Polygonum aviculare*, *Poa annua* კი კოსმოპოლიტებია.

ადვენტური სახეობა ინვასიის დროს, მისთვის ახალ ცენოზებში დამკვიდრების პროცესში სხვადასხვა ეკოტოპში იზრდება. ბევრი მათგანი იმდენად პლასტიკურია და გარემო ფაქტორების

მიმართ ისეთი მაღალი რეაქციის ნორმით ხასიათდება, რომ რამდენიმე ეკოტოპშიც კი ამოავერებს განვითარების ციკლს. ყველა ადვენტი იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ეკოტოპთანაა დაკავშირებული, 'სღვისპირეთიდან სუბალპური სარტყელის ჩათვლით სამ ძირითად ბიოტოპში: ბუნებრივ პირველად, სახეცვლილ ბუნებრივ მეორად, და კულტიგენურ მცენარეულობაშია განსახლებული [ცხრ. 9] თითოეული მათგანი ცალკე აღებული ბიოტოპის ფარგლებში განსახლვრულ ერთ ან რამდენიმე ეკოტოპთან არის დაკავშირებული. ამ დაკავშირებადამოკიდებულების მიხედვით ბუნებრივ პირველად მცენარეულობაში გამოყოფილია მცენარეთა 7 ეკოტოპი: 'სღვისპირა ქვიშა-სილნარების [ქვიშიანების], ჭაობის, მდინარეთა სანაპიროების, ტყის, ტყისპირების, ტყის 'შოენილების, ველობების. სახეცვლილ მეორად, ბუნებრივ მცენარეულობაში გამოყოფილია მცენარეთა 8 ეკოტოპი: რკინიგზის გასწვრივი ადგილების, გზისპირების, რუდეარული, არხების სანაპიროების, ნახევრადდაჭაობებული, ნაირბალახოვანი დაბლობების, ნაირბალახოვანი ფერდობების, ბუჩქნარების. კულტიგენურ მცენარეულობის ბიოტოპში კი გამოყოფილია მცენარეთა 11 ეკოტოპი: ჩაის, ციტრუსების, ბამბუკის, თამბაქოს პლანტაციების, ტუნგის ნარგავების, ევკალიპტოა ხეივნების, ვენახების, სიმინდის ყანების, კარტოფილის მინდვრების, ბალ-პარკების, სანერგეებისა და ბოსტნების.

სხვადასხვა ქვეყნის ადვენტური ფლორის სახეობათა ინვასიის თავისებურებების ლიტერატურულმა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ფლორები ამ ნიშნის მიხედვით მეტად განსხვავებულია. ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში 'შემავალი მარიის ავტონომიური რესპუბლიკის ფლორის 126 ადვენტური სახეობიდან



ბუნებრივ [პირველად, დარღვეულ-მეორად] მცენარეულობაში მხოლოდ 16 სახეობას შეუღწევია, სხვა 110 სახეობა კი ანთროპოგენურ [სეგეტალურ, სეგეტალურ-რუდერალურ და რუდერალურ] მცენარეულობაშია განსახლებული, [Абрамов, Жиряков, 1986]. უკრაინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ადვენტური ფლორის 240 სახეობიდან 90 ავროფიტოცენოზების მკვიდრია, 120 რუდერალურ ეკოტოპშია განსახლებული, 30 კი ე.წ. ურბანფლორის წარმომადგენელია [Кондратюк, Тарабрин, Бурда, 1989]. აფშერონის ადვენტური ფლორის 199 სახეობიდან სეგეტალურ-რუდერალურია 76, რუდერალურია 77, სეგეტალური კი 26 სახეობა. მისი ყველაზე ცოტა [20] სახეობა ბუნებრივ ცენოზებშია დამკვიდრებული [Мамедов, 1986].

ბოტანიკურ-გეოგრაფიული ელემენტი	ბიოტოპი			
	ბუნებრივი პირველად მცენარეულობა	სახეცვლილი მორალი მცენარეულობა	კულტიურული მცენარეულობა (საჩილეები)	სულ
აღმოსავლეთაზიური	32	49	15	96
სმელთაშუაზღვის-პირეთის	17	54	22	93
ატლანტური ფროპის	14	49	19	82
ჩრდილოეთ-ატლანტური ამერიკის	6	21	16	43
ბრაზილიის	3	8	6	17
კოსმოპოლიტური	2	5	5	12
სულ	74	186	83	343


ცხრილი 9. აჭარის ადვენტური ფლორის სახეობების ეკოტოპთან დამოკიდებულების მიხედვით დაყოფა

ადვენტურ სახეობათა ინდიგენურ მცენარეულობაში ინვა-სია-დამკვიდრებით და ცენოტიკური თავისებურებით აჭარის ადვენტური მცენარეები რამდენიმე განსაკუთრებული ნიშნით ხასიათდება. პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბუნებრივ ინდიგენურ პირველად მცენარეულობაში ჩვენი რეგიონის ადვენტთა 74

სახეობაა დამკვიდრებული, ყველა ისინი ნეოინდიგენოფიტებია და სამხრეთ კოლხეთში უძველესი დროიდან არიან შემოჭრილნი. მათგან თითქმის ნახევარი [32] სახეობა აღმოსავლეთაზიური ელემენტია [ცხრ. 9]. სამხრეთ კოლხეთის მცენარეულობაში მათ მასიურ ინვასია-დამკვიდრებაზე ჯერ კიდევ ა. კრახნოვი [Крахнов, 1913] შემდგომში კი მ. პოპოვი [Попов, 1949] მიუთითებდა. სახეცვლილ მეორად მცენარეულობაში აღვენტაა უმეტესი [186] სახეობა გვხვდება ეს აღკესტურ სახეობათა ყველაზე დიდი ჯგუფია, სადაც აღმოსავლეთაზიური, ხმელთაშუაზღვისპირეთის და ატლანტური ევროპის ფლორის სახეობები დომინირებენ [ცხრ. 9]. ამ მცენარეებმა აჭარის დაბლობებისა და გორაკ-ბორცვების პირველადი კოლხური ტყის მცენარეულობის ამოძირკვის შემდგომ სახეცვლილ მეორად მცენარეულობაში დამოუკიდებელი ცენტრიკური და ჯგუფებები შექმნეს. კულტიგენურ მცენარეულობაში განსახლებული 83 სახეობიდან ნახევარზე მეტი [41] ხმელთაშუაზღვისპირეთის და ატლანტური ევროპის ელემენტია. მცენარეთა ამ ეკოტოპში ჩრდილოეთ-ატლანტური ამერიკის სარეველების 16 სახეობა გვხვდება, რომლებიც სვენთან შემოდწეულა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში ამერიკის კონტინენტიდან. ევროპაში შემოტანილ კულტურულ მცენარეებთან ერთად. ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ჩაის კულტურის თანამგზავრი შემდეგი სახეობებიც: *Crassocephalum crepioides*, *Polygonum perfoliatum*, *Commelina communis*, *Microstegium imberbe*, *Digitaria sanguinalis*, *Setaria glauca* და სხვა.

მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში დაბლობებისა და გორაკ-ბორცვების ტყის მცენარეულობის პირწმინდა ჭრის და ამოძირკვის შემდეგ ბალახოვანი მცენარეები გახდნენ რა ელიფიკატორები, დაიწყო აღდგენითი სუქცესიური მოვლენები.

სხვადასხვა კულტურათა აგროცენოზების შექმნას თან სდევდა მეორადი ბუნებრივი სახეცვლილი მცენარეულობის [ძირითადად ბადახოვნების] ფორმირება. ეს ხანგრძლივი პროცესია და დღესაც გრძელდება. თანამედროვე 'სღვისპირა აჭარის დაბლობებისა და გორაკ-ბორცვების ფიტოლანდშაფტი კულტურულ მცენარეთა აგროცენოზებით და სახეცვლილი მეორადი ბუნებრივი ფიტოცენოზებითაა წარმოდგენილი [სურ. 1].



სურათი 1. *Miscanthus sinensis* ჩაქვის შიდაძოვების სახეცვლილ (მეორად) ლანდშაფტში

'სღვისპირა ქვიშნარებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დაბლობების ფიტოლანდშაფტში. იგი 'სღვის სანაპიროს ვიწრო 'სოლად გასდევს და მცენარეებით მეჩხრად არის დასახლებული. ქვიშნარებში შეკრული ცენოზები ნაკლებადაა. ალაგ-ალაგ თუ შეინიშნება დაკორდება, რასაც პერიოდულად 'სღვის ტალღები

არღვევს, ამას 'სღვისპირის რეკრეაციული მიზნით გამოყენებაც ემატება. ფლორისტულად ქვიშიანები მეტად ღარიბი და ჭრუელიცაა. ამ 'სოლის აბორიგენული ფლორის სხვადასხვა სახეობებთან ერთად ბევრი ადვენტი ქვიშიანების კომპონენტად ითვლება. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია მარცვლოვნები: *Sorgum halepense*, *Digitaria violascens*, *D. ciliaris*, *Sporobolus fertilis*, *Eleusine indica*, *E. tristachia*, *Festuca heterophylla*, *Bromus comutatus*, *B.inermis*, *Lolium rigidum*, *Agropyron juncoides*, *Hordeum leporinum*, *Eragrostis pilosa*. სხვა ოჯახებიდან უფრო დამახასიათებელია: *Psoralea bituminosa*, *Galega officinalis*, *Abutilon theophrastii*, *Euphorbia humifusa*, *E.stricta*, *E.maculata*, *E.nutans*, *E.peplis*, *Heliotropum elipticum*, *Echium biebersteina*, *E.plantagineum*, *Digitalis purpurea*, *Lepidium texanum*, *Brassica nigra*, *Achilea nobilis*, *Conyzanthus graminifolius*, *Chamomilla recutata*, *Silibium maritimum*, *Lactuca saligina*, *Onopordum acanthium*, *Xanthium californicum*, *X.orientalis*, *X.strumarium*, *X.spinosum*, *Arenaria serpillifolia*, *Cerastium glomerata*, *Silene glauca*, *Polycarpon tetraphylla*, *Artiplex patula*, *Chenopodium album*, *Ch.antelminthicum*, *Amaranthus deflexus*, *Cyperus esculentus*, *Kyllinga gracillima*, *K.metzii*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთასიური ბუჩქი – *Vitex rotundifolia* 'სღვისპირის ქვიშიანებში ქმნის რაყებს და ავიწროებს ამ 'სოლის მცენარეულობის აბორიგენულ სახეობებს.

აჭარის დაბლობებზე ადამიანის ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის 'ხემოქმედებით, რელიეფი მეტნაკლებად დანაწევრებულია. სხვადასხვა ამადლებზე, გისისპირებზე და რკინიგზის გასწვრივ ძირითადად 'შედიარებით მ'სრალ ადგილსამყოფელთან 'შეგუებული მცენარეულობა გვხვდება. მათ 'სიორის ბევრი ადვენტური სახეობაა, რომლებიც დამოუკიდებელ ცენოტიპურ ჯგუფებს ქმნის:

Sporobolus fertiis, Eleusine indica, Perilla nankinensis, P. ocyroides, Elymus ciliatus, Tagetes minuta, Conyza graminifolia, Ambrosia artemisiifolia, Artemisia vulgaris, Ammi visnaga და სხვა. 'სღვისპირა დაბლობების ფიტოცენოზში რეინიგისპირა მცენარეულობა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია ადვენტური სახეობებით. ბევრი ადვენტი სწორედ რეინიგისითაა შემოჭრილი არა მარტო მესობელი ფლორისტული რაიონებიდან, არამედ კავკასიისა და მესობელი ჩრდილოეთის სხვა უფრო 'მორეული რეგიონებიდან. აქ გვხვდება ისეთი მარცვლოვნები, როგორცაა: Bromus japonicus, B. squamatus, B. inermis, Avena sativa, A. ludoviciana, Hordeum leporinum და სხვა. როულევაილოვნები: Achillea biebersteina, Crepis foetida, Sigesbeckia orientalis, Cirsium vulgare, Erigeron bonariensis, E. crispus, Centaurea phrygia, Galinsoga parviflora, Bidens bipinnata, Lactuca saligna, Artemisia annua, Xanthium strumarium და სხვა. სხვა ოჯახებიდან უფრო დამახასიათებელია: Galega officinalis, Lathyrus sylvestris, Psolorea bituminosa, Vicia panonica, Capsela bursa-pastoris, Ammi visnaga, Lepidium texanum, Convolvulus arvensis, Malva neglecta, Hibiscus siriacus, Hyoscyamus niger, Datura stramonium, Falcaria vulgaris, Fumaria capreolata, Euphorbia nutans, Odontites vulgaris, Digitalis purpurea, Amaranthus deflexus, Chenopodium album, Ch. Anthelminticum, Ch. ambrosioides, Atriplex patula და სხვა.

'სღვისპირა აჭარის ვაკე-დაბლობების ზონის, ქობულეთის დაბლობისა და კახაბრის ვაკის დიდი ნაწილი ადრე ჭაობებს ეჭირა, რომლებიც შესაბამისი მცენარეულობით იყო დასახლებული. ამომშრობის 'შედეგად დღეისთვის აქ ჭაობები მინიმუმამდე შემცირებულია. ალაგ-ალაგ შემორჩენილია მხოლოდ გუბურები და ნახევრადდაჭაობებული, სველი ადგილები. გარდა ამისა,

